ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

შაბათი – კვირა, 16 – 17 სექტემბერი, 2017 | №220 (7455) | ფასი: 50 თეთრი

## 21 ქვეყანა, რომელიც 2030 წლისთვის ყველაზე მსხვილი ეკონომიკის მქონე იქნება



გვ.3

## 15 სექტემბრიდან

ედუარდ ლირი

**ბუკნაჭო და ფისუნია**

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი



# „არჩევნებში მონაწილეობა სავალდებულო უნდა გახდეს“




## ემზარ კვიციანი: „ზარმაცი ამომრჩევლის წინააღმდეგ ფინანსური სანქციები დაწესდეს“

გვ.3

## „გაუქმდეს მაჟორიტარული სისტემა, ბარიერმა 3%-მდე დაიწიოს“

რას სთავაზობს ოპოზიცია ხელისუფლებას



გვ.2

## საზმაუ რეკლამების გაშვების უფლებას ითხოვს



გვ.4

რომან გოცირიძე: „მაშინ მას 40-მილიონიანი ბიუჯეტი უნდა შეუმცირდეს“





## რუსეთი კავკასიაში წითელი ხაზების გავლებას აპირებს



გვ.5

## სასამართლომ ყოფილი ვიცე-პრემიერის, თემურ ბასილიას, საქმეს პოლიტიკური დევნის ამსახველი ახალი დოკუმენტაცია დაურთო



გვ.2

ISSN 1987-9385

ნათია ხურცილავა

# „გაუქმდეს მაჟორიტარული სისტემა, ბარიერმა 3%-მდე დაიწიოს“

## რას სთავაზობს ოპოზიცია ხელისუფლებას

**„ახალი მემარჯვენეების" თავმჯდომარე მამუკა კაციტაძე „ახალ თაობასთან" ინტერვიუში საკონსტიტუციო ცვლილებებზე საუბრობს.**

***– ვენეციის კომისიის მდივანმა ტომას მარკერტმა განაცხადა, რომ მათ აცნობეს ქართული მხარიდან, რომ საკონსტიტუციო ტექსტში შესაძლოა ცვლილებები შევიდეს. რამდენად გაქვთ თქვენ ეს ინფორმაცია?***

– ვის გულისხმობს „ქართულ მხარეში“ ვენეციის კომისიის მდივანი? მეც ქართული მხარე ვარ. ოპოზიციას უნდა ეს, მაგრამ ძალა არ შესწევს. თუ ეს ინფორმაცია ხელისუფლებიდან მოდის, მაშინ ვინ თქვა? ეს ინფორმაცია საფუძველს მოკლებულია.

***– რატომ?***

– ეს რომ რეალობა იყოს, ხელისუფლების მხრიდან კომუნიკაცია იქნებოდა. სულ ცოტა დრო დარჩა მესამე მოსმენამდე და ვნახავთ, რა ცვლილებებს აპირებს ხელისუფლება.

***– ხომ არ ფიქრობთ, რომ ხელისუფლებას უკვე აქვს გადაწყვეტილება მიღებული, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები მესამე მოსმენით მიიღოს და ოპოზიციის მცდელობა, პრეზიდენტთან ერთად ალტერნატიული წინადადებების შეთავაზება, სრულიად უადგილოა?***

– თუ ამ ლოგიკას მივყვებით, მაშინ პრეზიდენტის მცდელობა, საპარლამენტო თუ არასაპარლამენტო ოპოზიციის, სამოქალაქო სექტორის ყველანაირი მცდელობა უადგილოა, რადგან ხელისუფლებას საკონსტიტუციო უმრავლესობა ჰყავს და რასაც უნდა, იმას გააკეთებს. ასეთ პირობებში პოლიტიკაში ყოფნაც უადგილოა და უაზრობაა. თუმცა, ეს ასე ნამდვილად არ არის.



მე არ მაქვს ილუზია, რომ ხელისუფლება უცებ გაითვალისწინებს პრეზიდენტის მოტივირებულ შენიშვნებს, მაგრამ ის ფაქტი, რომ მთელმა პოლიტიკურმა სპექტრმა, ხელისუფლების გამოკლებით, სამოქალაქო სექტორის უმნიშვნელოვანესმა ნაწილმა და პრეზიდენტმა საერთო პოზიცია შეაჯერა და ეს მოტივირებულ შენიშვნად აქცია, არის უაღრესად მნიშვნელოვანი პოლიტიკური ნაწილი. ეს მივა საერთაშორისო ორგანიზაციებამდე, მათ შორის ვენეციის კომისიამდე, რომ ქვეყანა, რომელსაც ევროინტეგრაციის პრეტენზია აქვს, საკონსტიტუციო ცვლილებებს ერთპარტიულ რეჟიმში ახორციელებს და ყველა დანარჩენის იგნორირებას ახდენს.

მეორე მოსმენა როდესაც გაიმართა, ამით სამართლებრივი პროცესი დასრულდა, მაგრამ პოლიტიკური პროცესი გაგრძელდა. პოლიტიკური პროცესის ნაწილია სწორედ ის შეჯერებული ვერსია, რომელიც მომავალი კვირის დასაწყისში გამოქვეყნდება. ეს პოლიტიკური პროცესი აუცილებლად გაგრძელდება. ხელისუფლების ასეთი იგნორირებული პოზიცია ყველას და ყველაფრის მიმართ ყოველთვის მიდიოდა იმ კონდიციამდე, რომ ხელისუფლებები ძალიან მწარედ და მტკივნეულად ტოვებდნენ სკამებს.

***– პრეზიდენტი ვეტოსთვის ემზადება?***

– როდესაც პრეზიდენტთან შევიკრიბეთ, საუბარი იყო ხელისუფლებისთვის მოტივირებული შენიშვნების მიწოდებაზე. ეს ტერმინი ბუნებრივად აღძრავს ვეტოს მოლოდინს. რა გადაწყვეტილებას მიიღებს პრეზიდენტი, ეს მისი საქმეა. თუმცა, მაღალი ალბათობით, დოკუმენტი, რომელიც შეჯერდა, პრეზიდენტის მიერ გამოყენებული იქნება, როგორც ვეტოს საფუძველი.

***– რა განასხვავებს ამ დოკუმენტს წინა დოკუმენტისგან, რომელიც ოპოზიციამ შეიმუშავა?***

– ეს დოკუმენტი არის ფართო კონსენსუსის შედეგი სამოქალაქო სექტორს, ოპოზიციასა და პრეზიდენტს შორის. შინაარსობრივი თვალსაზრისით ხუთი მიმართულებაა გამოყოფილი:

პირველი პრეზიდენტის არჩევის წესს ეხება. ხელისუფლება გვთავაზობს, რომ 300-მა ხმოსანმა აირჩიოს პრეზიდენტი, ჩვენ ვთავაზობთ, რომ ხალხს არ წავართვათ ეს უფლება.

მეორეა საპარლამენტო არჩევნები. ხელისუფლება გვთავაზობს, დარჩეს 5%-იანი ბარიერი და აიკრძალოს პოლიტიკური ბლოკები. მესამე – 2020 წელს შენარჩუნდეს მაჟორიტარული არჩევნები. ჩვენ ვთავაზობთ: ბარიერმა 3%-მდე დაიწიოს, არ აიკრძალოს წინასაარჩევნო ბლოკები, ერთპალატიან პარლამენტში გაუქმდეს ის სიმახინჯე, რომელსაც მაჟორიტარული სისტემა ჰქვია და მანდატები მიღებული ხმების პროპორციულად განაწილდეს.

ხელისუფლება გვთავაზობს, რომ პრემიერს, კაბინეტის დამტკიცების შემდეგ, შეუძლია, მინისტრები ისე შეცვალოს, რომ პარლამენტს არც დაეკითხოს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ საპარლამენტო კონტროლი მთავრობის დაკომპლექტებისას უნდა შენარჩუნდეს.

ხელისუფლება გვთავაზობს, რომ მოსამართლეების დანიშვნისას პრეზიდენტი თამაშგარე მდგომარეობაში დარჩეს, ისინი უნდა წარადგინოს იუსტიციის საბჭომ და დანიშნოს პარლამენტმა. ასევე გვთავაზობენ, მოსამართლეები უვადოდ კი არა, სამწლიანი გამოსაცდელი ვადით დაინიშნონ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში თითოეული მათგანი მოწყვლადი გახდება, რადგან მას ეცოდინება, რომ თუ „ჭკვიანად“ არ მოიქცევა, მისი საქმე ცუდად დამთავრდება. ამიტომ მოსამართლეები ყოველგვარი გამოსაცდელი ვადის გარეშე უვადოდ უნდა დაინიშნონ და ამ პროცესში უნდა იყოს ნეიტრალური ფიგურა, როგორიც პრეზიდენტია.

მეხუთე პუნქტი კი უშიშროების საბჭოს ეხება. ჩვენ მიგვაჩნია, რომ უშიშროების საბჭოს გაუქმება მიზანშეუწონელია. საომარი მოქმედების დროს პრეზიდენტი მთავარსარდალი ხდება, მაგრამ არასაომარი მოქმედებისას მას ელემენტარული ინფორმაციაც კი არ აქვს, რაც დაუშვებელია, მით უფრო, იმ ვითარებაში, რომელშიც ჩვენი ქვეყანა იმყოფება.

ეს განსხვავებაა ჩვენს შეთავაზებებსა და ხელისუფლების პროექტს შორის. ძალიან ბევრ წინადადებას, მაგალითად, მიწის გასხვისებასთან, ქორწინების დეფინიციასთან დაკავშირებით, გვერდი ავუარეთ, რადგან საერთო პოზიცია ვერ ჩამოყალიბდა. შევიმუშავეთ მხოლოდ ის ნაწილი, სადაც სრული კონსენსუსი დაფიქსირდა.

***– პრემიერი ამბობს, რომ ხელისუფლებას რეფორმების გასატარებლად სჭირდება საკონსტიტუციო უმრავლესობა. რას იტყვით?***

– ძალიან მწყინს, როდესაც ამას ხმამაღლა აჟღერებენ მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირები, რაც პოლიტიკური სიბნელის დემონსტრირებაა. ასეც რომ ფიქრობდე, არ უნდა თქვა. მსოფლიო დემოკრატია ამას, უბრალოდ, არ ცნობს. დემოკრატია იცნობს როგორც სახელისუფლებო მმართველობას, ისე პოლიტიკური უმცირესობის უფლებებსა და ოპოზიციის კონტროლის მექანიზმებს. საკონსტიტუციო უმრავლესობის ქონა სულაც არ ნიშნავს, რომ ისეთი დოკუმენტი, როგორიც კონსტიტუციაა, ერთპარტიულ სახელისუფლებო ფორმატში უნდა იქნეს მიღებული.

# სასამართლომ ყოფილი ვიცე-პრემიერის, თემურ ბასილიას, საქმეს პოლიტიკური დევნის ამსახველი ახალი დოკუმენტაცია დაურთო

**თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ საქართველოს ყოფილი ვიცე-პრემიერისა და პრეზიდენტის ყოფილი თანაშემწის, თემურ ბასილიას, საქმეზე 2008 წლის 28 ოქტომბრის განაჩენის გადახედვის პროცესი განაახლა. 2017 წლის 14 სექტემბრის სხდომაზე სასამართლოს წინაშე მოწმის სახით დაიკითხნენ პირები, რომლებმაც ისაუბრეს და გამოარკვიეს თემურ ბასილიას რაიმე ფორმით კავშირები ს.ს. „ინტელექტბანკთან". ამის შესახებ ინფორმაცია „ახალგაზრდა ადვოკატების" ვებგვერდზეა განთავსებული.**

მათი ცნობით, მთავარი პროკურატურის ახალი გამოძიების პირობებში დადგინდა, რომ 2006 წლის 25 თებერვალს გენერალური პროკურატურის მიერ თაღლითობისა და დოკუმენტის გაყალბებისთვის დაკავებული იყვნენ სს „ინტელექტბანკის“ გენერალური დირექტორი გოგი სალია და ცენტრალური ფილიალის მმართველი ლევან კვირიკაშვილი. მაშინდელ პროკურატურას სურდა, დანაშაულში გამოევლინა პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ყოფილი თანაშემწე თემურ ბასილია, რომელიც დაპირისპირებული იყო იმჟამინდელ ხელისუფლებასთან. ამ მიზნით, პროკურატურის ხელმძღვანელი პირების ორგანიზებით, საპატიმრო დაწესებულებაში, ფარულად, კანონდარღვევით შეიყვანეს „ინტელექტბანკის“ აქციონერები, რომლებმაც პატიმრებს გოგი სალიასა და ლევან კვირიკაშვილს გადასცეს პროკურატურის კატეგორიული მოთხოვნა, რომ ხელი მოეწერათ იმ ჩვენებაზე, რომელსაც მათ გამოძიება წარუდგენდა, თითქოსდა თემურ ბასილია „ინტელექტბანკისთვის“ დახმარების აღმოჩენის სანაცვლოდ ბანკისგან ქრთამის სახით იღებდა ფულად თანხებს. პროკურატურისთვის ასეთი ჩვენების მიცემის შემთხვევაში კი მათი საქმე დადებითად გადაწყდებოდა და ისინი საპროცესო შეთანხმების საფუძველზე დატოვებდნენ საპატიმრო დაწესებულებას. პროკურატურის მიერ ასეთი მეთოდებით ყალბი ჩვენების მიღების შემდეგ თემურ ბასილია უკანონოდ იქნა მსჯავრდებული.

– თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატამ 14 სექტემბრის სხდომაზე გაიზიარა თემურ ბასილიას ინტერესების დამცველთა შუამდგომლობა და სისხლის სამართლის საქმეს, ინფორმაციის სახით დაურთო დამატებითი მასალები. კერძოდ, 2009 წელს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის საჯარო გამოსვლა ქ. ფოთში და საქართველოს პარლამენტში, 2010 წელს ქართული ტელევიზიების მხრიდან მომზადებული სიუჟეტების კრებული, თემურ ბასილიას უცხოეთში თითქოსდა დაკავებისა და საქართველოში ექსტრადიციის თაობაზე, საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის გაერო-ს ცენტრალური აზიის გენერალური მენეჯერის წერილი თემურ ბასილიას უკანონო დევნის შესახებ და სხვა. თემურ ბასილიას ინტერესების დამცველთა განცხადებით, წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, თუ სხვადასხვა მედიასაშუალებებსა და ტელეგადაცემებში, როგორი უსაფუძვლო და ცილისმწამებლური კამპანია მიმდინარეობდა თემურ ბასილიას წინააღმდეგ, მათ შორისა ყოფილი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გამოსვლების და მისი უშუალო მითითებების საფუძველზე. ცნობისთვის: 2011 წლის 26 მაისს, ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ თემურ ბასილიას მიანიჭა პოლიტიკური დევნილის სტატუსი.



თბილისის სააპელაციო სასამართლო თემურ ბასილიას საქმეს მოსამართლეების: მაია ხოლოაშვილის (თავმჯდომარე), შორენა ყაველაშვილისა და მზია ლომთათიძის შემადგენლობით განიხილავს. საქმე აღნიშნულ კოლეგიას მას შემდეგ გადაეცა, რაც საქართველოს უზენაესი სასამართლომ თემურ ბასილიას ბრალდების გადახედვის თაობაზე განჩინება მიიღო. მანამდე, 2017 წლის 27 იანვარს, მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტმა მიიღო დადგენილება „მსჯავრდებულის მიმართ სისხლის სამართლის წარმოების პროცესში მისი უფლების არსებითი დარღვევის შესახებ“, რომლითაც თემურ ბასილია წინა ხელისუფლების პირობებში წარდგენილ ბრალდებაში უდანაშაულოდ იქნა ცნობილი, აღნიშნულია „ახალგაზრდა ადვოკატების“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

თემურ ბასილიას კანონიერ ინტერესებს ადვოკატები არჩილ კაიკაციშვილი და გია ტაბლიაშვილი წარმოადგენენ. საქმეზე მომდევნო სხდომა 2017 წლის 12 ოქტომბერს ასევე მოწმეთა დაკითხვით განახლდება.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „არჩევნებში მონაწილეობა სავალდებულო უნდა გახდეს“



## ემზარ კვიციანი: „ზარმაცი ამომრჩევლის წინააღმდეგ ფინანსური სანქციები დაწესდეს“

შორენა მარსაგიშვილი

**რატომ უნდა დაისაჯოს ზარმაცი ამომრჩეველი, რას ითხოვს პატრიოტთა ალიანსი ხელისუფლებისგან, რატომ არის სახიფათო საარჩევნო სიის გენდერული ნიშნით კვოტირება? – ამ თემებზე „ახალ თაობას" პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი ემზარ კვიციანი ესაუბრება.**

***— თქვენ საარჩევნო სიის გენდერული კვოტირების წინააღმდეგ გამოდიხართ და ამბობთ, თუ 150-კაციან სიაში ნახევარი ქალი იქნება, ბავშვებს ვინ გაზრდისო. რას ერჩით ქალ პოლიტიკოსებს?***

— ვერჩი არა, ტოროლა! მე მივესალმები ქალების პოლიტიკაში მოსვლას. არც იმას ვეწინააღმდეგები, რომ რაც შეიძლება მეტი ქალი იყოს პოლიტიკაში, მაგრამ მათი რაოდენობა ვიღაცამ არ უნდა განგვისაზღვროს.

რამდენი ქალი იქნება აქტიურ პოლიტიკაში, ეს მათ განათლებაზე, გამოცდილებასა და მათდამი ხალხის ნდობაზე უნდა იყოს დამოკიდებული.

ჩემი შეხსენების გარეშეც ყველამ იცის, რომ პარლამენტი არის არჩევითი ორგანო. არჩევით ორგანოში როგორ შეიძლება გენდერული ნიშნით იყოს კვოტირება. ეს არ მომწონს, თორემ სხვა მხრივ ქალების სიმრავლეს მხოლოდ მივესალმები.

ვთქვათ, სიის პირველ ათეულში 5 კაცი უნდა იყოს და 5 ქალი. რა უნდა გავაკეთოთ ისეთ შემთხვევაში, თუ პირველი ათეულისთვის ძალიან ღირსეული 7 კაცი კანდიდატი მყავს, რომელიც ნებისმიერ ქალს აჯობებს? მხედველობაში ჭკუა და გამოცდილება მაქვს. რაკი გენდერული კვოტირებაა, 2 კაცი დავჩაგროთ და ათეულიდან უკან გადავწიოთ? ამ გენდერული კვოტირებით შესაძლოა ქალების უფლებებიც შეილახოს. რას ჰქვია წინასწარ განსაზღვრა, იქნება და მე სიის პირველ ათეულში 9 ქალის ჩასმა მინდა.

ეს თემა უკვე კარგა ხანია, რაც გააქტიურდა. არასამთავრობოები გასულ წლებში ითხოვდნენ, პარლამენტში აუცილებლად 38 ქალი უნდა იყოსო. ამ საკითხზე სასაუბროდ ინგა გრიგოლიამ დამპატიჟა და იქ ვიკითხე, რატომ მაინცდამაინც 38, 39 ან 40 რომ იყოს, არ შეიძლება?!

ჩემი აზრით, ეს გენდერული კვოტირება სულაც არ იცავს ქალის უფლებებს. პირიქით, ის ქალსაც ურღვევს უფლებას და კაცსაც. აშკარაა, რომ ეს უცხოეთიდან არის თავსმოხვეული.

***— უცხოელებს რაში აინტერესებთ, რამდენი ქალი იქნება ჩვენს პარლამენტში და რამდენი კაცი?***

— ფაქტია, რომ აინტერესებთ, თორემ თავზე ხომ არ მოგვახვევდნენ. ახლა კვოტებს დაგვიწესებენ გენდერული ნიშნით, შემდეგში უკვე სახელებს და გვარებს მიგვითითებენ, თუ ვინ უნდა ჩავწეროთ სიაში. ცხვრები ხომ არა ვართ, რომ ყველაფერში სხვების ნებას მივყვეთ.

ამდენს რომ საუბრობენ ამ გენდერებზე, იქნებ დააკონკრეტონ, სად და რანაირად ზღუდავენ ქალებს. საქართველოში ასეთი რამე არ ხდება. აქედან გამომდინარე გეკითხებით, რა საჭიროა პარტიული სიის გენდერული ნიშნით კვოტირება?!

***— პარლამენტში თქვენ ხართ და თქვენ უკეთ უნდა იცოდეთ, რა საჭიროა.***

— პარლამენტში კი ვარ, მაგრამ ვერ გავიგე, რა საჭიროა ეს ყველაფერი. არასამთავრობოებს მეტი საზრუნავი არა აქვთ, რომ გენდერებს დასდევენ? ქალების დაცვა თუ უნდათ, სხვანაირად დაეხმარონ.

არასამთავრობოების მიერ შემოტანილი კანონპროექტი თვითმმართველობის კომიტეტის სხდომაზე განიხილეს. სხვათა შორის, ვაგდებდი ამ კანონს, ჩემი ხმა იყო გადამწყვეტი, მაგრამ არ ჩავაგდე.

***— თუ არ მოგწონთ ეს კანონპროექტი, რატომ არ ჩაუგდეთ?***

— იმიტომ, რომ კოლეგებმა მთხოვეს.

***— მათი ხათრით დაუჭირეთ მხარი თქვენთვის არასასურველ კანონპროექტს?***

— ეს კანონპროექტის მხარდაჭერა არ იყო. კოლეგებმა მითხრეს, რომ მეორე მოსმენისთვის ჩასწორდებოდა რაღაცები. მთლიანობაში მაინც თხოვნით მივეცი ხმა. თან ჩვეულებრივად კი არ მიმიცია ხმა, ხაზგასმით აღვნიშნე, რომ პოლიტიკაში აუცილებლად უნდა იყვნენ ქალები, მაგრამ ეს სავალდებულო არ უნდა იყოს. ასეთი დაძალება ყოველგვარ დემოკრატიას ეწინააღმდეგება. ის დაარღვევს ადამიანის, ამ შემთხვევაში მამაკაცის უფლებებს.

არადა, რომ ჰკითხო, ადამიანის უფლებებს იცავენ. სწორედ ამიტომ დაგვიწუნეს ჩვენი ინიციატივა.

***— რა ინიციატივა დაგიწუნეს?***

— ჩვენ, პატრიოტთა ალიანსი, ვითხოვდით და ახლაც ვითხოვთ, რომ საქართველოს მოქალაქეებისთვის არჩევნებზე წასვლა სავალდებულო გახდეს. სამწუხაროდ, ჩვენში ზარმაცი ამომრჩეველი მრავლადაა. მათ ერთი ადგილის აწევა და არჩევნებზე წასვლა ეზარება. ასეთ დროს არჩევნების გაყალბება ძალიან ადვილია.

არასამთავრობოების და პარტიების ნაწილის აზრით, არადემოკრატიულია თუ მოქალაქეებს არჩევნებზე წასვლას დავაძალებთ. ეს თუ არადემოკრატიულია, სიაში გარკვეული რაოდენობით ქალების ჩაწერას რომ გვაძალებთ, ეს სადაური დემოკრატიაა? ასეთი ორმაგი სტანდარტები დაუშვებელია. ის ხალხი, ვისაც არჩევნებზე წასვლა ეზარება, უნდა დაისაჯოს.

***— რა ფორმებით გეგმავთ ზარმაცი ამომრჩევლის დასჯას?***

— სისასტიკის გამოვლენას არავის ვთხოვთ. სასჯელი უნდა იყოს ფინანსური სანქციები. ამომრჩეველი ვალდებულია, არჩევნების დღეს გამოვიდეს სახლიდან და ერის და ქვეყნის წინაშე თავისი მოვალეობა მოიხადოს. ერთი ადგილის აწევა თუ დაეზარება, მაშინ კეთილი ინებოს და ფულადი ჯარიმა გადაიხადოს.

საარჩევნო თემაა და ბარემ ერთ საკითხსაც მივაბამ ამაზე. პატრიოტთა ალიანსი ასევე ითხოვს, რომ თუ არჩევნებზე ამომრჩევლის 90% არ მივა, ის არჩევნები ჩატარებულად არ ჩაითვალოს.

***— 90% ცოტა ზედმეტი ხომ არ არის?***

— არანაირად. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შევძლებთ ისეთი ხელისუფლების არჩევას, როგორიც საქართველოს სჭირდება. სუსის მიერ მოყვანილი პარლამენტი არაფერს არ გააკეთებს. როცა მისი მომყვანი ხალხია, მაშინ კეთილს ინებებს და გააკეთებს.

***— 17 სექტემბერს იწყებთ საპროტესტო აქციებს. მთავარი მოთხოვნა სამართლიანობის აღდგენა იქნება. ეს მოთხოვნა ისევ ძალაშია თუ დაამატეთ რაიმე ახალი მოთხოვნები?***

— სხვა მოთხოვნებიც გვექნება. ჩემი, ემზარ კვიციანის, მთავარი მოთხოვნა სამართლის აღდგენა იქნება. ამ სამართალმა უკვე 5 წელია, რაც ცუდად მიიძინა.

ჩვენი მთავარი მოთხოვნა ასევე იქნება საარჩევნო გარემოს შეცვლა. კონსტიტუციაში რაღაცები უნდა ჩაიწეროს. პირადად მე ძალიან კმაყოფილი ვიქნები, თუ ვალიას ვალდებულით შეცვლიან.

ეს ვალია ქალი არ გეგონოთ, კონსტიტუციაში ასე წერია, რომ რეფერენდუმებზე და არჩევნებზე დასწრება საქართველოს მოქალაქის ვალია. ეს უნდა შეიცვალოს, რომ მოქალაქე ვალდებულია, არჩევნებზე მივიდეს. ერთი სიტყვის შეცვლა ბევრ რამეს შეცვლის.

***— თქვენი აქციები რამდენი ხანი უნდა გაგრძელდეს?***

— პირველი აქცია გვაქვს 17 სექტემბერს, ბოლო 8 ოქტომბერს არის ჩანიშნული.

***— მთელი ეს პერიოდი სულ ქუჩაში იდგებით?***

— სულ ქუჩაში არ ვიდგებით. რამდენიმე სერიოზული აქციის მოწყობა იგეგმება. ჯერ ყველაფერი ბოლომდე შეთანხმებული არ არის, მაგრამ მძლავრი საპროტესტო ტალღა რომ აგორდება, ეს ნათელია.

---

## უკრაინის პარლამენტის შვიდი წევრი დავით საყვარელიძეს თავდებში უდგება

უკრაინის პარლამენტის დეპუტატი ეგორ სობოლევი ლვოვის სასამართლოს თხოვნით მიმართავს და დავით საყვარელიძეს თავდებში უდგება. ამის შესახებ დეპუტატი „ფეისბუქის“ პირად გვერდზე წერს.

— სასწრაფოდ ლვოვში ჩამოვედი, რათა სასამართლოს ვთხოვო, რომ თავდებში ჩავუდგე დავით საყვარელიძეს. ის გამოძიებაზე გავლენას არ მოახდენს და არც გაქცევას აპირებს, – აღნიშნა მან.

მისი თქმით, სასამართლოს სხდომის გადადება 18 სექტემბრისთვის უნდათ.



— სასამართლოს ორშაბათისთვის გადადება სურთ. ეს კი აღკვეთის ღონისძიების შერჩევის 72-საათიანი ვადის დარღვევაა, – განაცხადა დეპუტატმა.

ლვოვში ასევე ჩავიდნენ დეპუტატები: იური დერევიანკო, ვლადიმერ პარასიუკი, ელენე შკრუმი, პავლო კოსტენკო, დიმიტრი დობროდომოვი და ივან კრულკო.

პარტია „ახალი ძალების მოძრაობის“ პრესმდივან მარიანა პოჩტარის თქმით, აღნიშნული დეპუტატები მზად არიან თავდებაში ჩაუდგნენ დავით საყვარელიძეს.

---

## კიევის სასამართლომ მიხეილ სააკაშვილის ძმის, დავით სააკაშვილის გაძევების საკითხი შეაჩერა



კიევის პეჩერსკის რაიონულმა სასამართლომ მიხეილ სააკაშვილის ძმის, დავით სააკაშვილის გაძევების საკითხი შეაჩერა. ამის შესახებ პარტია „ახალი ძალების“ პრესსამსახური იუწყება. მათივე ინფორმაციით, სასამართლომ სახელმწიფო მიგრაციის სამსახურის პეჩერსკის რაიონული განყოფილების გადაწყვეტილება შეაჩერა, რომელიც 17 სექტემბრამდე დავით სააკაშვილის იძულებითი დაბრუნებას ითვალისწინებდა.

ამასთან, კიევის პეჩერსკის რაიონულმა სასამართლომ დავით სააკაშვილის სარჩელზე საქმის წარმოება დაიწყო. საქმის განხილვა 19 სექტემბერს გაიმართება.

— მოვითხოვთ, სახელმწიფო მიგრაციის სამსახურის მთავარი სამმართველოს პეჩერსკის რაიონულმა განყოფილებამ წარმოადგინოს მასალები, რომელთა საფუძველზეც მათ 1973 წელს დაბადებული საქართველოს მოქალაქის, დავით სააკაშვილის სამშობლოში ან მესამე ქვეყანაში იძულებითი დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილება მიიღეს, – ნათქვამია სასამართლოს დადგენილებაში.

---

## ელიავას ბაზრობა სხვა ტერიტორიაზე, შესაძლოა, აღარ გადავიდეს

ელიავას ბაზრობა სხვა ტერიტორიაზე, შესაძლოა, აღარ გადავიდეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ელიავას ბაზრობის ერთ-ერთმა მეწილემ, ზაზა მეტრეველმა განუცხადა, ბაზრობის ხელმძღვანელობას თბილისის მერი დავით ნარმანია შეხვდა და დაჰპირდა, რომ ბაზრობა სხვა ტერიტორიაზე არ გადავა.

ზაზა მეტრეველის თქმით, ნარმანია მათ ასევე დაჰპირდა, რომ ტერიტორია ისე შეიცვლება, რომ არც ბიზნესი დაზარალდეს და მოსახლეობაც კმაყოფილი იყოს.

— ერთობლივი პროექტით რაღაც სახე მიეცემა ელიავას ბაზრობას ისე, რომ



ბიზნესიც არ დაზარალდეს და მოსახლეობისთვისაც ხელსაყრელი იყოს, – განაცხადა ზაზა მეტრეველმა.

მისივე თქმით, თბილისის მერის დაპირების თანახმად, ტერიტორიის გამწვანება მოხდება ბაზრობის გადატანის გარეშე.

— დაპირება იყო, რომ ბაზრობა ტერიტორიიდან არ გადავა. ჩვენ თვითონაც გვინდა, რომ უფრო მეტი გამწვანება იყოს, – განაცხადა ზაზა მეტრეველმა.

---

## 21 ქვეყანა, რომელიც 2030 წლისთვის ყველაზე მსხვილი ეკონომიკის მქონე იქნება



განვითარებადი ქვეყნების ნაწილი 2030 წლისთვის მსოფლიოს ყველაზე მსხვილი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ოცეულში აღმოჩნდებიან.

ორგანიზაცია PwC-ის კვლევის თანახმად, ბრაზილია და ინდოეთი 2030 წლისთვის სულ უფრო მეტ კონკურენციას გაუწევენ მსოფლიოს ისეთი წამყვანი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს, როგორებიც არიან აშშ და ჩინეთი. თავად აშშ კი ლიდერის პოზიციას დაკარგავს და ჩინეთს დაუთმობს პირველობას.

წარმოდგენილი კვლევა აფასებს ქვეყნებს მათი პროგნოზირებადი მთლიანი შიდა პროდუქტის გლობალური ზრდისა და მსყიდველუნარიანობის პარიტეტის მიხედვით. მსყიდველუნარიანობის პარიტეტი კი განისაზღვრება ამა თუ იმ ქვეყნის ეროვნული ვალუტის ფასეულობიდან გამომდინარე.

წარმოგიდგენთ 2030 წლისთვის წამყვანი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ჩამონათვალს.

1. ჩინეთი – 38,008 ტრილიონი დოლარი; 2. აშშ – 23.475 ტრილიონი დოლარი; 3. ინდოეთი – 19,511 ტრილიონი დოლარი; 4. იაპონია – 5,606 ტრილიონი დოლარი; 5. ინდონეზია – 5,424 ტრილიონი დოლარი; 6. რუსეთი – 4,736 ტრილიონი დოლარი; 7. გერმანია – 4,707 ტრილიონი დოლარი; 8. ბრაზილია – 4,4039 ტრილიონი დოლარი; 9. მექსიკა – 3,361 ტრილიონი დოლარი; 10. დიდი ბრიტანეთი – 3,638 ტრილიონი დოლარი; 11. საფრანგეთი – 3,337 ტრილიონი დოლარი; 2. თურქეთი – 2.996 ტრილიონი დოლარი; 3. საუდის არაბეთი – 2.755 ტრილიონი დოლარი; 14. სამხრეთ კორეა – 2.651 ტრილიონი დოლარი; 15. იტალია – 2.541 ტრილიონი დოლარი; 16. ირანი – 2.354 ტრილიონი დოლარი; 17. ესპანეთი – 2.159 ტრილიონი დოლარი; 18. კანადა – 2.141 ტრილიონი დოლარი; 19. ეგვიპტე – 2.049 ტრილიონი დოლარი; 20. პაკისტანი – 1.868 ტრილიონი დოლარი; 21. ნიგერია – 1.794 ტრილიონი დოლარი.

ბპნ

# საზმაუ რეკლამების გაშვების უფლებას ითხოვს

## რომან გოცირიძე: „მაშინ მას 40-მილიონიანი ბიუჯეტი უნდა შეუმცირდეს“



მანანა იაშვილი

### ჩვენთან კომერციული ტელევიზიების განვითარებაზე უფრო ზრუნავენ, ვიდრე საზოგადოებრივ მაუწყებელზე

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო სხდომაზე „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში ცვლილებების განხილვას კამათი მოჰყვა.

საზოგადოებრივი მაუწყებელი ითხოვს გარე შემოქმედებით პროდუქციაზე ტენდერების წესის შეცვლას, როდესაც გამარჯვება ფასის დაგდებაზე არ იქნება დამოკიდებული. ასევე, საზოგადოებრივი მაუწყებლის კანონპროექტი გულისხმობს, რომ მათ ჰქონდეთ არაპრაიმტაიმის დროს რეკლამის მოზიდვის და განთავსების საშუალება.

უმრავლესობის წევრი გედეონ ფოფხაძე გაალიზიანა რომან გოცირიძის შენიშვნამ, რომ კანონპროექტის ცვლილებებს ის ცუდად იცნობს და „შემოაჩეჩეს“, რადგან ეს ცვლილებები საზოგადოებრივ მაუწყებელში დაიწერა. გედეონ ფოფხაძე არ თმობდა კანონპროექტის საავტორო უფლებას და სხდომის თავმჯდომარეს მოუწოდებდა, შეეჩერებინა რომან გოცირიძის ტრადიციული შეურაცხყოფა უმრავლესობის მიმართ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ უმრავლესობაშიც არ არის ერთიანი აზრი ჩამოყალიბებული.

მაჟორიტარმა დეპუტატმა პაატა კვიჟინაძემ ილაპარაკა იმ საფრთხეზე, რომელსაც ტენდერის საკითხში გამონაკლისი გამოიწვევს:

— ყველა ევროპული ორგანიზაცია მოგვიწოდებს, არ გავაფართოოთ ამგვარი გამონაკლისები. უკვე შემოტანილი აქვს ამგვარი თხოვნა ეროვნულ ბანკს და კომუნიკაციის კომისიას. როგორც კი გამონაკლისს დავუშვებთ, იქვე წამოვა თხოვნა აუდიტის სამსახურიდან, საკონსტიტუციო სასამართლოდან და ყველასგან, მათ დამოუკიდებლობის ხარისხი არანაკლები აქვთ. ამიტომ, თუ ერთი დავუშვით, ეს გამოშიგნავს ამ კანონს ტენდერების შესახებ.

ამას საზმაუს მედიის და კომუნიკაციების ბლოკის დირექტორმა თინათინ ბერძენიშვილმა ასე უპასუხა:

— როგორ ფიქრობთ, 2004 წლიდან ჩვენმა ტელევიზიამ უამრავი დირექტორი გამოიცვალა და რატომ ვერც ერთმა ვერ შეძლო თუნდაც ერთი გადაცემის შესყიდვა? ხომ გსურთ კარგი გადაცემები? ჩვენ სახელმწიფო ტენდერის პირობებში მას ვერ შევისყიდით. ჩვენ ვითხოვთ არა გამონაკლისს, არამედ რაღაც რეგულაციის დაშვებას, რომელიც შემოქმედებით ხარისხზე იქნება ადაპტირებული.



**გედევან ფოფხაძე:**

— ისეთი გადაცემები, რომლებიც დღეს საზმაუს სჭირდება, იქ იმის გამო ვერ ხვდება, რომ რეკლამის ის კანონი არსებობს, რაც გვაქვს. არსებული კანონმდებლობის პირობებში „რა, სად, როდის“ საზოგადოებრივ მაუწყებელზე ვერასოდეს გავა. ვიღაც სპონსორმა რომელიმე მოთამაშეს რაიმე რომ აჩუქოს, ამას საზოგადოებრივ მაუწყებელს კანონმდებლობა მთლიანად უკრძალავს. ეს სწორი მიდგომა არ არის, რადგან ამის გამო საზმაუ კარგ გადაცემებს კარგავს.

რას უწუნებს კანონპროექტს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე?

ჩვენი ამ კითხვის პასუხად ბ-მა გოცირიძემ გააკრიტიკა საზმაუს ინიციატივა და ყველა ცოდვა ბიძინა ივანიშვილის ფარულ მმართველობას დააბრალა.

— მაუწყებლის შესახებ კანონში ცვლილებები არის მცდელობა, შემცირდეს ფინანსური და ადმინისტრაციული კონტროლი საჯარო დაწესებულებაზე. ირღვევა ბალანსი მართვაში, სუსტდება სამეურვეო საბჭოს როლი დირექტორთან შედარებით. ცვლილებები შედის კომერციული რეკლამისა და სპონსორობის ნაწილშიც და უფრო ეხსნება ხელ-ფეხი მაუწყებელს რეკლამის განთავსებაში, — განაცხადა რომან გოცირიძემ

მისი აზრით, ეს კიდევ უფრო ამცირებს კერძო ტელევიზიების შანსს რეკლამის ბაზარზე, ლუკმას ართმევს კერძო, განსაკუთრებით პატარა ტელევიზიებს.

— დღეს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, კერძო ტელეკომპანიები დოტაციაზე ჰყავთ კერძო კომპანიებს. საკუთარი შემოსავლით არსებობა ფაქტობრივად შეუძლებელია და ბიზნესის სხვა სფერო აფინანსებს. ასეთ დროს რეკლამის კუთხით არსებული მყიფე მდგომარეობის დარღვევა დაუშვებელია, — აღნიშნა ეკონომისტმა.

მისი თქმით, ბი ბი სის სახელმწიფო დიდი ხანია, არ აფინანსებს. მხოლოდ შარშან წაუმატეს ფული ბიუჯეტიდან „რაშა თუდეის“ ძირგამომთხრელი საქმიანობის გასანეიტრალებლად.

— ფულს მაყურებელი იხდის სპეციალური მოსაკრებლის სახით. საზმაუს თუ უნდა რეკლამა, მაშინ უნდა შეუმცირდეს ბიუჯეტი. იგი ჩვეულებრივ არის კონკურენციაში ბაზარზე და, ამავე დროს, 40 მილიონიანი ფორა აქვს. ბრიტანული სისტემა რომ იყოს და ხალხი იხდიდეს სავალდებულო გადასახადს, დღეს ამ მაუწყებლის გასაუქმებლად მიტინგები იქნებოდა გამართული. როცა საკუთარი ჯიბიდან იხდი, უკეთ ამჩნევ, როგორი ხარისხის საქონელს გთავაზობენ, — განაცხადა რომან გოცირიძემ.

მან ხაზი გაუსვა, რომ ის, რაც ხდება საზოგადოებრივ მაუწყებელში, არის ივანიშვილის დიდი ხნის ოცნების ასრულება — ჰქონდეს საკუთარი ტელევიზია და არ დახარჯოს მასში კაპიკი.

— მაუწყებლის „ჯიდიესიზაციას“ ვერ შენიღბავს ვერავითარი კანონი და „დაბალანსებული“ ახალი გადაცემები. მოსახდენი მოხდა: 2030 გადმოდესანტდა საზოგადოებრივ მაუწყებელში ფიზიკურად და მენტალურად. ახლა კანონით უნდათ პოზიციების გამაგრება. როგორც კონსტიტუცია და საარჩევნო კანონი მოარგეს ერთ პარტიას, ასევეა ტელევიზიაშიც. სანამ არ იქნება საზოგადოებრივი მაუწყებელი თავისუფალი პოლიტიკური დიქტატისაგან, მანამდე არ ექნება მას ნდობა და განვითარების შანსი, — აღნიშნა ბ-მა გოცირიძემ.

* * *





### გიორგი გვიმრაძე: „კომერციული ტელევიზიების კონკურენტები არ ვართ"

საკითხში უკეთ გარკვევის მიზნით კომენტარი ვთხოვეთ საზმაუს ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის დირექტორ გიორგი გვიმრაძეს.

— როგორ წარმოგიდგენიათ, ფილმის რეჟისორს ვინმემ დაავალოს აირჩიოს მსახიობები ხელფასის მიხედვით, არ იცნობდეს მსახიობს, არ იყოს გათვალისწინებული მსახიობის ნიჭი, მიმართულება, ტიპაჟი და ასეთი მსახიობი ნაკლები ფასის შემოთავაზების გამო ტენდერში იმარჯვებს. აი, ახლა დაახლოებით ასეთ მდგომარეობაში ვართ, — გვითხრა გიორგი გვიმრაძემ.

მისი აზრით, წინ უნდა წამოიწიოს შემოქმედებითმა კონტიგენტმა და არა დაბალმა ფასმა.

— რაც შეეხება რეკლამას, პრაიმტაიმში რეკლამის განთავსებას არც განვიხილავთ, მაგრამ ვთქვათ, სპორტული ღონისძიებების დასაწყისში, შესვენების დროს და დასასრულის შემდეგ ჩვენ ახლაც გვაქვს რეკლამა. კარგი იქნებოდა, სხვა პროდუქციის შემთხვევაშიც აუცილებელ მომენტებში 3-წუთიანი რეკლამის ჩასმა, რაც ახლა არ გვაქვს, — აღნიშნა ბ-მა გვიმრაძემ.

ის ფიქრობს, რომ საზმაუ ამ მხრივ კომერციული ტელევიზიების კონკურენტი ვერ იქნება.

— ჩვენთან კომერციული ტელევიზიების განვითარებაზე უფრო ზრუნავენ, ვიდრე ჩვენზე. კომერციულ ტელევიზიებს კი მეტი შესაძლებლობები აქვთ, მეტი რესურსი და მეტი თავისუფლება, სწრაფად განვითარდნენ, გადაწყვეტილებებში უფრო მობილურები და სწრაფები იყვნენ. ამ პირობებში კონკურენციაზე ლაპარაკი უადგილო და ზედმეტია. იმედი მაქვს, როდესაც პარლამენტში მუხლობრივი განხილვა დაიწყება, ჩვენ შევძლებთ დავარწმუნოთ კანონმდებლები და საერთო კონსენსუსით მივიღოთ საზოგადოებისთვის სიკეთის მომტანი გადაწყვეტილება, განაცხადა გიორგი გვიმრაძემ.

# გიორგი სიგუა: „საგამოძიებო სამსახურს ჩვენი კომპანიიდან ამოღებული ფინანსური დოკუმენტაცია და ტექნიკა ამ დრომდე არ დაუბრუნებია“



ელექტრონული მუსიკალური ფესტივალის „„ჯემ გიორგი სიგუა: „საგამოძიებო სამსახურს ჩვენი კომპანიიდან ამოღებული ფინანსური დოკუმენტაცია და ტექნიკა ამ დრომდე არ დაუბრუნებია“ ელექტრონული მუსიკალური ფესტივალის „„ჯემ ფესტის“ დამფუძნებლის, გიორგი სიგუას ინფორმაციით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გამოძიების ფარგლებში კომპანიიდან ამოღებული დოკუმენტაცია და ტექნიკა ამ დრომდე არ დაუბრუნებია. მისივე განცხადებით, ყადაღა არც კომპანიის ფინანსურ ანგარიშებს მოხსნია.

როგორც სიგუამ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში ისევ მიმდინარეობს მისი კომპანიის თანამშრომლების გამოკითხვა.

— ამ დროისთვის დადგინდა ის, რომ ის თანხები, რომელიც სახელმწიფომ დახარჯა „ჯემ ფესტის“ დასახმარებლად, ჩვენს ხელში არ მოხვედრილა. მათ არ გადმოურიცხავთ და ჩვენ მასზე წვდომა არ გვქონია — დაიხარჯა გარკვეული თანხები სხვადასხვა სტრუქტურიდან, ეს იყო ზოგიერთი არტისტის ჰონორარი, ნაწილობრივ ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და დაცვის ხარჯები. გარკვეულია, რომ ჩვენ ერთი თეთრიც არ ჩაგვრიცხვია სახელმწიფოსგან. სულ იყო, დაახლოებით, 500 არტისტი და აქედან 120 არტისტის ჰონორარი გადაიხადა სახელმწიფომ, ანუ მეოთხედის თანხები დაფარეს.

რაც შეეხება გამოძიებას, ისევ მიმდინარეობს; წაღებულია ჩვენი ტექნიკა და დოკუმენტაცია, დაყადაღებულია ჩვენი ანგარიშები და არც ვიცით, როდის მოეხსნება ამ ყველაფერს ყადაღა. ყველაფერს სწავლობენ, ყველა გადარიცხვას და არც ვიცით, როდის დასრულდება პროცესი, — განაცხადა სიგუამ.

მისივე ინფორმაციით, გამოძიების ფარგლებში 100-ზე მეტი ადამიანია გამოკითხული.

— ჩვენი ბუღალტრები და ფინანსური მენეჯერები ყოველდღე დადიან საგამოძიებო სამსახურში. ისიც მინდა გითხრათ, რომ ზუსტად 15 აგვისტოს შემოვიდნენ შესამოწმებლად, მაშინ, როდესაც არ იყო დეკლარაციების შევსება დასრულებული და ახლა აკეთებს დეკლარაციებს ჩვენი ბუღალტერი ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში. როგორც იცით, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, 15 რიცხვია გადასახადების გადახდის რიცხვი და, შესაბამისად, ეს დეკლარაციები გაკეთებული არ იყო, — განაცხადა სიგუამ.

როგორც „ჯემ ფესტის“ დამფუძნებელი აცხადებს, იმის მიუხედავად, ნაწილობრივ დააფინანსებს თუ არა სახელმწიფო ფესტივალს, ის მომავალ წელს მაინც ჩატარდება.

— „ჯემ ფესტი“ არ შექმნილა სახელმწიფოს დაფინანსებით. 2015 წელს, „ჯემ ფესტი“ მთლიანად კერძო ინვესტიციით და დაფინანსებით შეიქმნა და ჩატარდა. 2016 წელს, სახელმწიფოს თანადაფინანსება იყო რაღაც ნაწილში, ისევე, როგორც 2017 წელს. ეს იყო დაახლოებით მეოთხედი ან მეხუთედი მთლიანი ხარჯების. თუ სახელმწიფო გადაწყვეტს, რომ „ჯემ ფესტს“ არ უნდა დაეხმაროს, ეს მისი გადასაწყვეტია, ისევე, როგორც მისი მხრიდან დაფინანსების საკითხი. ჩვენ „ჯემ ფესტის“ დასრულებას და მოკვლას არ ვაპირებთ. გაგრძელდება ეს ფესტივალი იმის მიუხედავად, დააფინანსებს თუ არა მას სახელმწიფო.

მთლიანად ის, რაც წლის განმავლობაში და 32-დღიანი, 500-არტისტიანი, 8- სცენიანი ფესტივალის ჩასატარებლად დაიხარჯა, დათვლილია და დაახლოებით, 10 მილიონი ლარია, საიდანაც თანხების დიდი ნაწილი ჩვენ მიერ არის მოზიდული სპონსორებისგან, ბილეთების გაყიდვიდან, ტერიტორიის გაიჯარებისგან და ა.შ. ამავე თანხაში შედის სახელმწიფოს წილიც, — უთხრა სიგუამ „ინტერპრესნიუსს“.

მისივე განცხადებით, „ბლექ სი არენას“ წინაშე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებით, 31 ოქტომბრამდე არენაზე ღონისძიება უნდა ჩატარებულიყო, თუმცა, შესაძლოა, ეს ღონისძიება ველარ ჩატარდეს.

— თუ ეს ხელისშემშლელი ფაქტორები არ მოგვშორდება, „ბლექსი არენაზე“ ღონისძიება ვერ ჩატარდება, — განაცხადა სიგუამ.

მარიამ მჭედლიშვილი

# რუსეთი კავკასიაში წითელი ხაზების გავლებას აპირებს

**კავკასია რუსეთისა და დასავლეთისთვის მნიშვნელოვან რეგიონად რჩება. ამაზე რუსეთის ახალი გეგმებიც მეტყველებს.**

კრემლთან დაახლოებული ექსპერტები ალაპარაკდნენ იმაზე, რომ მალე პუტინი კავკასიაში წითელ ხაზს გაავლებს. მათი შეფასებით, დონალდ ტრამპის ადმინისტრაციაში დარწმუნებული არიან, რომ კრემლი უკრაინასა და კავკასიას თავისი გავლენის სფეროდ მიიჩნევს. უკვე იკვეთება, ზუსტად სად გაივლის წითელი ხაზი უკრაინაში, კავკასიის წითელი ხაზის ამბავი კი გაირკვევა.

ექსპერტების სიტყვებით, რუსეთის პრეზიდენტის ინიციატივა უკრაინის დონბასში სამშვიდობო მისიის შეყვანის თაობაზე შეიძლება კავკასიაშიც, კერძოდ, კონფლიქტურ მთიან ყარაბაღში, განახორციელონ.

პუტინის წინადადებამ სამშვიდობოების თაობაზე მეტ-ნაკლებად მხარდაჭერა მიიღო. მას არ ეწინააღმდეგება კიევი. უკრაინა აცხადებს, რომ მზადაა, იმუშაოს გაეროს უშიშროების საბჭოში რუსეთის მიერ წარმოდგენილი რეზოლუციის პროექტის შესაბამისად.

არსებობს მოსაზრება, რომ რუსეთს ამ „სამშვიდობო“ წინადადებით მთელი უკრაინის დასაპყრობად ახალი კომბინაცია აქვს ჩაფიქრებული, უკრაინის ხელისუფლება კი ამას იმიტომ თანხმდება, რომ ამ სიტუაციას ოპონენტებთან ბრძოლაში გამოიყენებს.

პუტინის თანამოაზრე მიმომხილველები აცხადებენ, რომ სამშვიდობო მისიის გამოცდილე-



ბის დანერგვა სასურველი იქნება მთიან ყარაბაღში.

უკრაინის ომსა და ყარაბაღის კონფლიქტს შორის, 2008 წელს, ომი იყო ასევე საქართველოში. ამ ომმა თავისი ისტორიული და პოლიტიკური გამოცდილება დატოვა.

აფხაზეთში რუსეთის სამშვიდობო მისია ხორციელდებოდა დსთ-ის ქვეყნების მეთაურების მანდატითა და გაეროს მისიასთან მჭიდრო თანამშრომლობით. „სამხრეთ ოსეთში“ — ორმხრივი შეთანხმებისა და ეუთოს მისიასთან მჭიდრო თანამშრომლობით.

რუსეთის წარმომადგენლების განცხადებით, საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, თავდასხმა მასზე, ვინც სამშვიდობო მანდატით სარგებლობს, კონფლიქტის ზონაში მყოფ სახელმწიფოზე თავდასხმის ტოლფასია. რუსეთმა ამის მიხედვით იმოქმედა 2008 წელს.

აზერბაიჯანის დღევანდელი ხელისუფლება, ექსპერტების აზრით, ისეთივე ნაციონალისტურ პოლიტიკას ახორციელებს ყარაბაღში, როგორსაც სააკაშვილი ატარებდა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მიმართ.

აზერბაიჯანის ხელისუფლებას უნდა გაეთვალისწინებინა საქართველოსა და უკრაინის მწარე გამოცდილება.

კრემლში აცხადებენ, რომ კავკასიაში წითელი ხაზები ახალი გეოპოლიტიკური რეალობის საფუძველზე გაივლება.

საერთაშორისო პოლიტიკაში რომ ახალი წელთაღრიცხვა დგება, ამაზე გერმანელი ანალიტიკოსებიც საუბრობენ.

ამ დღეებში მსოფლიოს ყურადღება რუსეთ-ბელორუსიის ერთობლივი სამხედრო წვრთნებისკენ არის მიპყრობილი. დასავლეთის შეშფოთება „დასავლეთი 17“-ის მიმართ რამდენიმე თვეა, გამოითქმის. ექსპერტები შიშობენ, რომ რუსეთი ბელორუსიაში მიმდინარე მასშტაბურ სტრატეგიულ სამხედრო სწავლებას უკრაინაზე თავდასასხმელად გამოიყენებს ან თავად ბელორუსიის ოკუპაციას მოახდენს.

შვედური მედიის აზრით, რუსეთი ბალტიკაში ომის დასაწყებად საკმარისად ძლიერი არ არის. მისგან უფრო პროვოკაციებია მოსალოდნელი.

გერმანელი ექსპერტების აზრით, მიმომხილველების უმრავლესობა „დასავლეთი 17“-სგან სამხედრო ესკალაციას არ მოელის, თუმცა, 100%-ით მოვლენების ამგვარ განვითარებას არავინ გამორიცხავს, ვინაიდან ყველას ახსენდება, რომ ყირიმის შემდეგ ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ.

„დასავლეთი 17“-სას ნათლად გამოჩნდა უნდობლობა რუსეთსა და ნატოს შორის. ეს წვრთნა იმის მიმანიშნებელია, რომ საერთაშორისო პოლიტიკისთვის ახალი წელთაღრიცხვა იწყება.

## დიმიტრი ქუმსიშვილი: „ლარის კურსზე ვერ ვპროგნოზირებ ვერაფერს“

პირველი ვიცე-პრემიერი, ფინანსთა მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი ლარის კურსზე პროგნოზირებისგან თავს იკავებს, თუმცა აცხადებს, რომ საგადასახდელო ბალანსი გაუმჯობესებულია 700 მილიონ დოლარამდე.

ფინანსთა მინისტრის თქმით, პროგნოზირება ძალიან უმადური საქმეა.

— რაც შემიძლია ვთქვა, არის ის, რომ საგადასახდელო ბალანსი გაუმჯობესებულია 700 მილიონ დოლარამდე, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ფულადი ჩარიცხვები ქვეყანაში წინა



წელთან შედარებით შემოსულია მეტი. ექსპორტიდან ამონაგები არის შემოსული მეტი და ასევე, ტურიზმიდან ამონაგები არის შემოსული მეტი. ჯამურად, ეს არის 700 მილიონი დოლარი და, შესაბამისად, მე არ ვპროგნოზირებ, ვერ ვპროგნოზირებ ვერაფერს. ჩვენ გვაქვს მცურავი კურსი, რომელიც დამოკიდებულია მოთხოვნა-მიწოდებაზე. ხანდახან შეიძლება გვქონდეს ცოტა მეტი მოთხოვნა, ცოტა მეტი მიწოდება, თუმცა ეს არის ბაზრის ქცევა. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ის განკარგვადი შემოსავალი, რომელიც ჩვენს მოქალაქეებს აქვთ, არ შემცირდეს, რისთვისაც არის დაწყებული ლარიზაციის პროგრამა და ლარიზაციის პროგრამაში თვითონ მოსახლეობის სესხები კომერციულ ბანკებში ლარით არის გაზრდილი 43%-დან 53%-მდე, რაც არის ძალიან მნიშვნელოვანი. ამავდროულად, მნიშვნელოვანი იქნება ინფლაციური მოლოდინები, რომელშიც ჩვენ აგვისტოში საკმაოდ კარგი ტრენდი გვქონდა, 5,7%-მდე დავედით, — განაცხადა ქუმსიშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

## კვირიკაშვილი: „7 ქვეყნის წამყვანმა სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ საქართველო ღვინის სამშობლოა“

სამწლიანი კვლევის შემდეგ, 7 ქვეყნის წამყვანმა სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ საქართველო ღვინის სამშობლოა — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა საფრანგეთის ქალაქ ბორდოში, ღვინის მსოფლიო ცივილიზაციის ცენტრში გამართულ მიღებაზე.

ჩემთვის ძალიან საამაყოა ამ ღირსშესანიშნავ ღონისძიებაში მონაწილეობა.

— ღვინის ციტადელში (ბორდოში) ჩვენ პატივს მივაგებთ „მეღვინეობის აკვანს“ (საქართველოს). 8000 წელი საკმარისი დროა, რათა ეს საქმიანობა ეროვნული იდენტობის მთავარ ნიშნად იქცეს. სწორედ ასე მოხდა საქართველოში. ღვინო ქართული ეროვნული იდენტობის მთავარი მახასიათებელია; ისევე, როგორც, მაგალითად, ყოველმხრივ დახვეწილი გემოვნება ფრანგულ ეროვნულ იდენტობას განსაზღვრავს.

მართალია, ღვინო ფრანგული იდენტობის არსებითი ელემენტია და ფრანგებს მეღვინეობის დიდი კულტურა აქვთ, მაგრამ რაც შეეხება საქართველოს, არსებობს ღვინის კულტი და, რასაკვირველია, მეღვინეობის კულტურაც. არის ასეთი ქართული ხალხური გამოთქმა „ვაზო, შვილივით ნაზარდო“ — ეს სიტყვები ნათლად მეტყველებს იმ სიყვარულსა და ზრუნვაზე, რომლითაც ქართველები ეკიდებიან მევენახეობას. სამწლიანი კვლევის შემდეგ, 7 ქვეყნის წამყვანმა სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ საქართველო ღვინის სამშობლოა.

ღვინის უძველესი ნარჩენები აღმოჩენილია საქართველოში და მოწინავე ლაბორატორიებში ჩატარებული ექსპერტიზის მონაცემებით, 8000 წლის წინანდლად თარიღდება. გარდა ამისა, Vitis Vinifera-ს — ვაზის უძველესი ცნობილი სახეობის წიპწები აღმოჩენილია საქართველოში და ამავე პერიოდით თარიღდება. მინდა ქართველი და უცხოელი მეცნიერების ჯგუფს მადლობა გადავუხადო ჩვენი ქვეყნისათვის გაწეული შეუფასებელი სამსახურისათვის.

ძვირფასო მეგობრებო, ჩვენმა პატარა ერმა თავის მცირე მიწაზე წარმატებით მოახერხა 500-ზე მეტი ვაზის ჯიშის მოშენება და კულტივაცია. სწორედ ამ სფეროში გამოვიჩინეთ ჩვენ ყველაზე დიდი გამჭრიახობა და მივაღწიეთ ყველაზე დიდ წარმატებას. მე ვამაყობ ჩემი წინაპრებით, რომლებმაც ათასწლეულების წინ შექმნეს მეღვინეობის ნოუჰაუ სახელწოდებით — ქვევრი. ეს თიხის ჭურჭელი თითქმის ყველა ქართულ ოჯახში ჰქონდათ. მეც ასეთ ოჯახთა რიცხვს მივეკუთვნები. როგორც წესი, ქვევრი ყელამდე მიწაშია ჩაფლული, რაც მასში დაყენებულ ღვინოს, ნიადაგის თვისებების გამო, უნიკალურ გემოს სძენს.

2013 წელს იუნესკომ ქვევრის მეთოდი კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეიტანა. ეს ტრადიცია უდიდეს როლს ასრულებს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში თუ განსაკუთრებული მოვლენების დროს. ის არის ქართველთა კულტურული იდენტობის განუყოფელი ნაწილი, ხოლო ღვინოსა და



ვაზს ხშირად იხსენიებენ ქართულ ზეპირსიტყვიერებასა და ხალხურ სიმღერებში. ამ მემკვიდრეობის ცოდნას ოჯახები თაობიდან თაობას გადასცემენ, უზიარებენ მეზობლებსა და მეგობრებს, რომლებიც ერთად მონაწილეობენ რთველსა და ღვინის დაყენების პროცესში.

ქვევრი ქართული ისტორიისა და კულტურის სიმბოლოა — მისი წარსული ფესვებით მიწაშია, ხოლო მომავალი — ჯერ კიდევ დაღვინების პროცესში. დღეს, როცა საქართველო ევროპაში ბრუნდება, კულტურაში, რომლის ნაწილიც ის იყო, მაგრამ გარკვეული დროის განმავლობაში მოწყვეტილი იყო, ის ასევე უერთდება ევროპულ მეღვინეობას. ჩვენ განსაკუთრებით მადლიერნი ვართ ფრანგი ერის, ბორდოს მოსახლეობის და მუზეუმ La Cite du Vin-ის ადმინისტრაციისა, რადგან საქართველოს მიეცა შესაძლებლობა, ყოფილიყო პირველი ქვეყანა — მოწვეული ვენახი, რომელიც წარადგენს და მთელს მსოფლიოს უზიარებს თავისი ღვინის განსაკუთრებულ სახეობებს. დიდი მადლობა, — განაცხადა საქართველოს მთავრობის მეთაურმა.

ბორდოში, ღვინის მსოფლიო ცივილიზაციის ცენტრში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა 14 სექტემბერს გამოფენა სახელწოდებით, „საქართველო — მეღვინეობის აკვანი“ გახსნა.

**კომერსანტი**

## ფინანსთა ყოფილი მინისტრი ქვეყანას ბიტკოინებით თამაშს არ ურჩევს

უკანასკნელ დღეებს ბიტკოინისთვის საუკეთესოს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ. კვირის დასაწყისში უცხოურ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ჩინეთმა კრიპტოვალუტით ვაჭრობა მთელი ქვეყნის მასშტაბით ყველა ფინანსურ ოპერაციაზე აკრძალა. შემდეგი მძიმე დარტყმა ბიტკოინსJPMorgan Chase & Co.-ს აღმასრულებელმა დირექტორმა ჯეიმი დაიმონმა მიაყენა.

— ბიტკოინი არის ერთი დიდი აფიორა, რომელიც აუცილებლად აფეთქდება, — განაცხადა ჯეიმი დაიმონმა.

მისი მოსაზრება გაიზიარა და ნეგატიური დამოკიდებულება გამოხატა კრიპტოვალუტის მიმართ რუსეთის ცენტრალურმა ბანკმაც. ამ ყველაფერმა, საბოლოო ჯამში, ბიტკოინის



ღირებულების 20%-იანი შემცირება გამოიწვია. აღნიშნულ მოვლენებს ეხმიანება ეკონომისტი დავით იაკობიძე სოციალური ქსელის მეშვეობით. მის პოსტს უცვლელად გთავაზობთ:

— ამასწინათ ფბ-სამეგობროს მივმართე, ბიტკოინთან ფრთხილად- მეთქი. მის მერე კიდევ უფრო გაძლიერდა ამ თემაზე საუბარი. უკვე „ექსპერტებიც“ გამოჩნდნენ, ბაზარზე მისი „კოტირების“ პროგნოზებს რომ გვთავაზობენ. საქმე სერიოზულ ფორმატს იღებს.

ბიტკოინს ბევრი მძრახავი ჰყავს, მათ შორისაა საინვესტიციო საქმის დიდოსტატი, უორენ ბაფეტი და სხვა. მისი ღია მაქებელი და პროპაგანდისტი ცნობილ ეკონომისტებსა და ფინანსისტებს შორის არ შეინიშნება. არც აქ, საქართველოში, რომელიც „კრიპტოფულის“ პოპულარობით ბევრ დიდ და განვითარებულ ქვეყანას უსწრებს. საქართველო პატარა ქვეყანაა და ამ ფინანსური ინსტრუმენტით „თამაში“ სერიოზულ სოციალურ პრობლემების გამოწვევას გვიქადის, თუ ამ თემაზე დროულად ხმა არ აღიმაღლეს იმათ, ვისაც ეს პასუხისმგებლურად ეხება..

საქმე ისაა, რომ ბიტკოინი, ისე როგორც სხვა ტიპის „კრიპტოფული“, არაფრით და არავისგან არაა უზრუნველყოფილი. მისი აქცეპტირება შეუძლებელია და რადგან სასრული ერთეულია, აუცილებლად დადგება მისი მფლობელების წინაშე, მისი ლიკვიდურობის (ჩაქრობის) ამოცანა. და მაშინ გაიხსენებენ ზაქარია ფალიაშვილს (ხომ გახსოვთ, ქაღალდის ორლარიანზე, რომ „თაო ჩემოს“ კლავირი ეხატა).

P.S.მართალია ჩვენი განათლების მინისტრი სკოლებში თამაშების შემოტანას რომ გეგმავს. ბავშობიდან უნდ გაერკვეს ადამიანი აზარტის რაობაში. ისწავლოს მისი ალაგმვა. ასეთი ნასწავლი კი სიტყვა „ბიტკოინს“ რომ გაიგონებს, დაფიქრდება მაინც, — წერს დავით იაკობიძე საკუთარ ფეისბუქ გვერდზე.

**კომერსანტი**

# სასოფლო-სამეურნეო მიწების შეძენაზე ბანკებისთვის გამონაკლისი დაუშვეს

როგორც „კომერსანტისთვის“ გახდა ცნობილი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების შეძენასთან დაკავშირებულ კანონპროექტში ბანკების გამონაკლისებში ჩასართავად მთავრობას თავად საბანკო სექტორმა მიმართა. ბანკების ასოციაციის პრეზიდენტი ზურაბ გვასალია განმარტავს, რომ მთავრობამ ეს გადაწყვეტილება საბანკო სექტორთან კონსულტაციის შემდგომ მიიღო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკებში სესხის უზრუნველყოფა მიწით ველარ მოხდებოდა და საკმაოდ რთული სიტუაცია შეიქმნებოდა.

მისი მტკიცებით, საბანკო სექტორმა მთავრობას ის სტატისტიკა წარუდგინა, თუ რა ხდება საბანკო სექტორში სასოფლო-სამეურნეო მიწებთან დაკავშირებით. აღმოჩნდა, რომ საქართველოს მოქალაქეებს შეიძლება სერიოზული პრობლემები შეექმნათ იმ მხრივ, თუ სასოფლო-სამეურნეო მიწებს, როგოროც ეკონომიკურ კატეგორიას, უზრუნველყოფისთვის ვერ გამოიყენებენ.

— ბანკი მას უზრუნველყოფაში ვერ აიღებს. პრობლემური სესხის შემთხვევაში, მიწის აუქციონზე ვერ გა-



ყიდვისას, ბანკი იძულებული ხდება ხოლმე, თავად იყიდოს ეს მიწა. თუმცა, ამ მიწას ველარ ყიდულობს, რადგან ბანკი არ არის საქართველოში, რომელსაც უცხოელი დამფუძნებელი არ ჰყავდეს. გამომდინარე აქედან, ყველა ბანკი მიწის უზრუნველყოფაში ჩადებაზე უარს იტყოდა, — აცხადებს გვასალია.

მისი მტკიცებით, არსებობს საკმაოდ ბევრი „ქეისი“, როდესაც აუქციონზე მიწა ვერ გაიყიდა, ბანკმა უკვე ფულიც გადაიხადა, თუმცა, საჯარო რეესტრში მორატორიუმის გამოცხადების გამო ვერ გადაიფორმა.

— ამ დროს ვღებულობდით იმას, რომ ბანკმა ფაქტობრივად სესხი დაუფარა მიწის მფლობელს და ქონებაც დაუტოვა იმიტომ, რომ ვერ გაიფორმა. ეს მომავალში პრობლემებს შექმნიდა. ბანკებს არსებულ „ქეისებში“ პრობლემა შეექმნებოდათ, სამომავლოდ ისინი სასოფლო-სამეურნეო მიწას უზრუნველყოფაში აღარ ჩაიდებდნენ. გამომდინარე აქედან, მიწის მფლობელ ფერმერებს შეექმნებოდათ პრობლემა, — აცხადებს გვასალია.

როგორ ცნობილია, კანონპროექტით კომერციულ ბანკებს და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ეძლევათ ვალდებულება, შესაბამისად ორი და ერთი წლის ვადაში გაასხვისონ მათ საკუთრებაში არსებული მიწები მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზე. კითხვაზე, რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ბანკი ან მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიწას 2 წლის ვადაში ვერ გაასხვისებს, გვასალია განმარტავს, რომ ეს საკითხი აუცილებლად ჩადებული უნდა იყოს ორგანულ კანონში, რომელზე მუშაობაც ახლა მიმდინარეობს.

— თუ სახელმწიფო განსაზღვრავს იმას, რომ ჩადებული მიწები 2 წლის შემდეგ მან უნდა შეისყიდოს, მაშინ ბანკებმა წინასწარ უნდა იცოდნენ, როგორი მეთოდით მოახდენს ის შეფასებას, რათა ბანკებმა იგივე მეთოდებით შეფასებული მიწები ჩაიდონ უზრუნველყოფაში. ეს ყველაფერი ორგანულ კანონში უნდა გაიწეროს, — აცხადებს გვასალია.

მისივე მტკიცებით, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ქვეყანაში შემცირდება მიწების მყიდველთა ბაზები, რაც აუცილებლად იმოქმედებს მიწის ლიკვიდობაზე და ფასზე. კერძოდ, გვასალია არ გამორიცხავს, რომ სამომავლოდ მიწის ღირებულება შემცირდეს.

როგორც ცნობილია, „ქართული ოცნების“ მიერ წარმოდგენილი პროექტი დაჩქარებული წესით განიხილება.

ნაციონალური მოძრაობის წევრების განცხადებით, მმართველი გუნდი გადაწყვეტილებას ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საწინააღმდეგოდ იღებს.

პროექტის ინიციატორები არიან დეპუტატები ანრი ოხანაშვილი, ეკა ბესელია, ვანო ზარდიაშვილი, დავით მათიკაშვილი, გურამ მაჭარაშვილი და ილია წულაია.

**კომერსანტი**

# ადგილობრივი წარმოების საქონლის ხორცის დეფიციტზე ჰიპერმარკეტ „გუდვილშიც“ საუბრობენ



ადგილობრივი მწარმოებლების შემდეგ საქონლის ხორცის დეფიციტზე უკვე ჰიპერმარკეტ „გუდვილშიც“ საუბრობენ. ადგილობრივ ბაზარზე გაყინული, იმპორტირებული ხორცის მოხმარება რომ პიკზეა, ამაზე ხორცპროდუქტების მწარმოებლები რამდენიმე დღის წინ „კომერსანტთან“ საუბრობდნენ.მათი ნაწილი აცხადებს, რომ დაბალი ფასის გამო, კვების ობიექტები უპირატესობას იმპორტირებულ ხორცს ანიჭებენ.

ჰიპერმარკეტ „გუდვილში“ აცხადებენ, რომ ბაზარზე მართლაც აღინიშნება საქონლის ხორცის დეფიციტი, თუმცა „გუდვილი“ უმაღლესი ხარისხის ქართული საქონლის ხორცით უწყვეტად მარაგდება. მათი ინფორმაციით, ეს მომწოდებლებთან სტაბილური და სწორი მუშაობის შედეგია.

მათივე ინფორმაციით, „გუდვილში“ ძირითადად მოთხოვნა ადგილობრივ ხორცზეა.

— სწორედ ამიტომ ჩვენც აქცენტს ყოველთვის ქართულ ხორცზე ვაკეთებთ, — აცხადებენ „ჰიპერმაკეტში“. რაც შეეხება იმას, გაიზარდა თუ არა მათთან საქონლის ხორცის ფასი, კომპანიაში განმარტავენ, რომ „გუდვილი“ მაქსიმალურად ცდილობს ხორცპროდუქტებზე სტაბილური ფასები შეინარჩუნოს.

სურსათის ეროვნული სამსახურის ანგარიშის მიხედვით, საქართველოდან მსხვილფეხა საქონლის ექსპორტი აზერბაიჯანში, ეგვიპტეში, ერაყში, საუდის არაბეთსა და სირიაში ხორციელდება.

აღსანიშნავია, რომ წლების განმავლობაში საქართველოდან ცოცხალი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ექსპორტი არ ხორციელდებოდა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, ექსპორტი 2008 წლიდან დაიწყო და მას შემდეგ იზრდება. 2008 წელს ქვეყნიდან 584.4 ათასი დოლარის ღირებულების ცოცხალი საქონლის ექსპორტი განხორციელდა, 2016 წელს წელს კი ეს მაჩვენებელი 36,841.6 ათას დოლარამდე გაიზარდა. 2015 წელს კი ცოცხალი მსხვილფეხა საქონლის ექსპორტმა 20,103.4 ათასი დოლარი შეადგინა.

სწორედ გაზრდილ ექსპორტს ასახელებენ სასაკლაოებში საქონლის ხორცის დეფიციტის მიზეზად.

კიდევ ერთი პრობლემა — წარმოების შემცირებაა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2016 წელს 2015 წელთან შედარებით ხორცის წარმოება თითქმის 9,6 ათასი ტონით შემცირდა. თუ 2015 წელს ქვეყანაში ხორცის წარმოება იყო 62,1 ათასი ტონა, 2016 წელს ეს მაჩვენებელი 52,5 ათასამდე შემცირდა.

# მიხეილ დუნდუა: „ყოველი 1000 მოსახლიდან 800-მდე ადამიანს ბანკის ვალი აქვს“



— ყოველი 1.000 მოსახლიდან 800-მდე ადამიანს ბანკის ვალი აქვს, — ამის შესახებ ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში მიხეილ დუნდუა აცხადებს. მისივე განცხადებით, საქართველო ბანკის ვალის მქონე მოსახლეობით პირველ ადგილზეა.

— საქართველო ამ მაჩვენებლით მსოფლიოში პირველ ადგილზეა. ეს არის მსოფლიოს ისტორიული მაქსიმუმი, არც ერთ წელს, არც ერთ ქვეყანაში არ მომხდარა ის, რაც საქართველოსთან დაკავშირებით მსოფლიო სავალუტო ფონდის ანგარიშში დაფიქსირდა. საქართველო პირველ ადგილზეა ბანკის ვალის მქონე მოსახლეობით. ჩვენ გვყავს მოქალაქეები, რომლებიც მკვეთრად არიან დამოკიდებული საბანკო სექტორზე. ყოველივე ეს საბოლოო ჯამში გვიქმნის დამაჯერებელ რწმენას, რომ აუცილებელია ქვეყანაში გაჩნდეს გრძელვადიანი რესურსი ლარში, რომ მოხდეს ინვესტირება ეკონომიკაში, — აცხადებს დუნდუა.

როგორც დუნდუამ პრესკონფერენციაზე განაცხადა, არ შეიძლება მოქალაქეს სესხი შემოსავლის დადასტურების გარეშე მისცე.

— საერთაშორისო სავალუტო ფონდის ერთ-ერთი რეკომენდაციაა და აუცილებელია ეს ჩვენმა ეროვნულმა ბანკმა გაითვალისწინოს, როცა საცალო სესხს გასცემს კომერციული ბანკი, მისი გადახდის, დაფარვის გრაფიკი უნდა იყოს მოქალაქის შემოსავლის ნაწილი. მოქალაქე თავისი შემოსავლის უმეტეს ნაწილს ბანკს არ უნდა უხდიდეს. ეროვნულ ვალუტაში სასურველია, რომ ეს იყოს 30%, ხოლო უცხოურ ვალუტაში — 20%. ბანკმა რომ მოქალაქე არ დაახრჩოს, ამ რეკომენდაციის შესრულება ძალიან ყოვნდება. იმედი მაქვს, თვის ბოლოს შეასრულებს ამას ეროვნული ბანკი. უცხოურ ვალუტაში სესხის გაცემა შეიზღუდა, რაც ძალიან კარგია, მაგრამ ეს რეკომენდაციაც უნდა შესრულდეს. არ შეიძლება მოქალაქეს სესხი მისი შემოსავლის დადასტურების გარეშე მიეწოდოს. მე ვერ ვხედავ ამ რეკომენდაციის შეუსრულებლობას ხელს რა უშლის, — განაცხადა მიხეილ დუნდუამ.

# შვეიცარიული Camille Bloch შოკოლადში ქართული თხილის გამოყენებას აპირებს

— შვეიცარიული კომპანია Camille Bloch საქართველოში თხილის პლანტაციების გაშენებას და შოკოლადში ქართული თხილის გამოყენებას აპირებს, — ამის შესახებ იმერეთის ვიცე-გუბერნატორმა იოსებ ხახალეიშვილმა „ტვ პირველის“ გადაცემაში „საქმიანი დილა“ ისაუბრა.

როგორც მან აღნიშნა გასულ წელს იმერეთის გუბერნატორ გივი ჭიჭინაძესთან ერთად, შვეიცარიის კონფედერაციაში იმყოფებოდა და შვეიცარიული მხარის მხრიდან ქართული თხილით დაინტერესება სწორედ მაშინ მოხდა. გუშინ კი იმერეთის რეგიონს Camille Bloch-ის წარმომადგენლობა ესტუმრა. ასევე, მათთან ერთად შვეიცარიის სოფლის მეურნეობის ორი ექსპერტიც ჩამოვიდა. ხახალეიშვილის ინფორმაციით, კომპანიის წარმომადგენლები თავად დაინტერესდნენ, რომ საკუთარ პროდუქციაში ქართული თხილი გამოიყენონ. ამისთვის სამომავ-




ლოდ რეგიონში თხილის პლანტაციების გაშენებას აპირებენ. ასევე, კადრების გადამზადებას გეგმავენ, რომლებსაც პლანტაციაში დაასაქმებენ.

— მხოლოდ თხილის გაშენება კი არა, მათი სურვილია, რომ საქართველოში ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით, სანერგე მეურნეობის განვითარება და თხილის ბიზნესში დასაქმებული ადამიანების გადამზადება მოახდინონ. რაც შეეხება პლანტაციებს, ეს იქნება ახალი ტექნოლოგიებით გაშენებული პლანტაციები. ბუჩქების ნაცვლად, თხილის ხეები გაშენდება, — აღნიშნა ხახალეიშვილმა.

მისივე თქმით, შვეიცარიული კომპანიის წარმომადგენლობა დღეს სოფლის მეურნეობის სამინისტროში სტუმრად იმყოფებოდა, სადაც, სავარაუდოდ, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების შეძენასთან დაკავშირებული კანონპროექტის შესახებაც ისაუბრეს.

— შვეიცარიელებს ვუთხარით, უცხოელებისთვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ყიდვასთან დაკავშირებით მორატორიუმია გამოცხადებული, თუმცა ეკონომიკის მინისტრმა განაცხადა, რომ გამონაკლისების დაშვება მოხდება იმ ინვესტორებზე, რომლებიც ქვეყანაში ახალი ტექნოლოგიების და მეთოდების წარმოებას აპირებენ. შვეიცარიული მხარე იმედს იტოვებს, რომ ამ გამონაკლისში მოხვდება, — აღნიშნა ხახალეიშვილმა.

**კომერსანტი**

# მსოფლიო ბაზარზე დოლარის კურსი ბოლო 3 წლის მინიმუმზე იმყოფება

აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში დონალდ ტრამპის გამარჯვების შემდეგ დოლარმა ზრდა განიცადა, თუმცა მიმდინარე წელს საპირისპირო პროცესი დაფიქსირდა.CNNMoney-ის მიხედვით, ამერიკული ვალუტის დღევანდელი კურსი 2015 წლის იანვრის მაჩვენებელთან არის გათანაბრებული.

მიმდინარე წელს დოლარი მექსიკურ პესოსთან მიმართებით 17%-ით, ევროსთან 12%-ით, ხოლო ბრიტანულ ფუნტთან კი 7%-ით გაუფასურდა.

ინვესტორები იმედოვნებდნენ, რომ ტრამპის ადმინისტრაცია შეამცირებდა გადასახადებს და გააუქმებდა ფინანსურ რეგულაციებს. თუმცა, მთავრობის მხრიდან, აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, რეალური ნაბიჯები არ გადადგმულა.

— წლის დასაწყისზე დიდი ავანსი იყო გაცემული, თუმცა რეალური შედეგი ვერ მივიღეთ. ინფრასტრუქტურის ხარჯები არ გაზრდილა, გადასახადები კი არ შემცირებულა, — განაცხადა ჩჰარლეს შცჰწაბ-ის ანალიტიკოსმა, ქეითი ჯონმა.

აშშ-ის ვალუტის გაუფასურებაზე ევროპაში არსებულმა პოლიტი-



კურმა რისკებმაც იმოქმედეს, როგორებიცაა საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნები და Brexit-ის პროცესი. მათ ევროსა და ფუნტის ზრდა განაპირობეს, შედეგად კი დოლარი დაზარალდა.

თუმცა,CNNMoney-ის მიხედვით, დოლარის შესუსტების მთავარი მიზეზი ინვესტორებს შორის ოპტიმიზმის დაკარგვაში მდგომარეობს. მათი ოპტიმიზმი საგადასახადო რეფორმაზე, ახალ გზებზე, ხიდებსა და ლიანდაგებზე იყო დამყარებული. აშშ-ის ფინანსთა მინისტრის, სტივ მნუჩინის განცხადებით, საგადასახადო რეფორმა მიმდინარე წელს აუცილებლად განხორციელდება.

**კომერსანტი**

# დავით ნარმანიამ საქმიანობა, შესაძლოა, სემეკში გააგრძელოს

დავით ნარმანიამ თბილისის მერის თანამდებობიდან, შესაძლოა, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (სემეკში) გადაინაცვლოს.

„ინტერპრესნიუსის“ ინფორმაციით, მმართველ გუნდში ნარმანიას სამომავლო საქმიანობასთან დაკავშირებით ამ ეტაპზე სწორედ მისი სემეკის წევრად არჩევის საკითხი განიხილება.

არაოფიციალური ინფორმაციით, ნარმანია საბოლოოდ სემეკის თავმჯდომარის პოსტზე მოიაზრება, თუმცა, მეორე მხრივ, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კომისიის მოქმედ თავმჯდომარე ირინა მილორავას, რომელიც 6-წლიანი უფლებამოსილების შესრულებას 2013 წლის სექტემბერში შეუდგა, საქმიანობის ვადა 2019 წელს ეწურება.

კანონმდებლობის თანახმად, კომისიის წევრებს პარლამენტი ირჩევს, რომელსაც საკანონმდებლო ორგანოს პრეზიდენტი მთავრობასთან შეთანხმებით წარუდგენს.

რაც შეეხება კომისიის თავმჯდომარის არჩევის საკითხს, სემეკის თავმჯდომარედ პარლამენტი კომისიის ერთ-ერთ წევრს ირჩევს, რომელსაც ასევე პრეზიდენტი სთავაზობს კანონმდებლებს მთავრობასთან შეთანხმებით.

ამჟამად სემეკში, რომელიც 5 წევრით არის განსაზღვრული, 2 ადგილი ვაკანტურია.



**ინტერპრესნიუსი**

# განცხადებები


## ვასწავლი

● მოვამზადებ ინგლისურსა და რუსულ ენებში დიპლომატიური განათლებისა და გამოცდილების გათვალისწინებით, შეღავათიან ფასებში. მის.: ვაკის რაიონი, ფალიაშვილის ქ. №118. ტელ.: 593-90-73-13, თამარი.

## ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ჩვენი ბავშვების ჯანმრთელობა ჩვენს ხელთაა – კალცი აუცილებელია გონებრივი განვითარებისათვის, ძვლიან-კუნთოვანი ჩონჩხისთვის, იმუნიტეტისათვის. 95%-ით აითვისება ორგანიზმის მიერ. ტელ: 599-61-75-82.

● გინდა იყო მუდამ ჯანმრთელი? მთელი ორგანიზმის დიაგნოსტიკა – პრობლემების გამოვლინება ადრეულ სტადიაზე. აქცია თვის ბოლომდე, კუპონის წარმომადგენელს ფასდაკლება 30%. ტელ: 595-472-471.

● ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია ოზონატორი არის მთელი ოჯახის ჯანმრთელობის საწყისი: ხილისა და ბოსტნეულის დეზინფექცია; წყლისა და საბავშვო ჭურჭლის, სათამაშოების გაწმენდა. ტელ: 599-61-75-82.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.


# ევროკავშირმა რუსეთს სანქციები გაუგრძელა

## ზახაროვა: „იმედგაცრუებული ვართ“

რუსი სენატორის ალექსეი პუშკოვის პროგნოზი, რომ ევროპა რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციების შერბილებას აპირებს, არ გამართლდა. პუშკოვმა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ გაბრიელის სიტყვები მოიყვანა, სადაც ნათქვამია, რომ თუკი დონბასში ცეცხლი შეწყდა, უნდა ვიფიქროთ რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციების შესუსტებაზე, შემდეგ კი გაუქმებაზე.

– ევროპას რუსეთი სჭირდება და უკრაინის გამო დისკომფორტს არ შეიქმნის, – აცხადებდა პუშკოვი.

გაბრიელის პოზიცია გერმანიის მთავრობის პოზიციას არ გამოხატავს. ამის თაობაზე კანცლერმა მერკელმა მოკლედ და ამომწურავად განაცხადა:

– რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები გაგრძელდება მანამ, სანამ უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა არ აღდგება.



პროპაგანდა პროპაგანდაა, რეალობა – რეალობა. მედიით გავრცელებული ინფორმაციის მიუხედავად, კრემლი შექმნილ მდგომარეობას კარგად აცნობიერებდა. ცხადი იყო, რომ გადამწყვეტი არა გაბრიელის, არამედ ისეთი პოლიტიკოსების პოზიციაა, როგორებიც ანგელა მერკელი და ემანუელ მაკრონი არიან. ისინი კი სანქციების გაგრძელებას მხარს უჭერენ. რუსეთმაც აქტიური მოქმედება გააჩაღა.

უნგრეთის წარმომადგენელმა ევროსაბჭოს ოფიციალურად მიმართა. მან განაცხადა, რომ უკრაინაში უნგრული ეროვნული უმცირესობის შევიწროება ხდება. უნგრელებს მხარი დაუჭირეს ბულგარეთმა, საბერძნეთმა და რუმინეთმა. მიზეზი გახლდათ უმაღლესი რადის მიერ განათლების შესახებ მიღებული კანონი, რომლის თანახმადაც, სკოლებში მე-4 კლასიდან უკრაინული ენა უნდა ისწავლებოდეს. ბუდაპეშტში თვლიან, რომ ეს დაუშვებელია – უკრაინაში მცხოვრებმა უნგრულმა უმცირესობამ, რომლის ოდენობაც 160.000-ს არ აღემატება, მხოლოდ ინგლისური და უნგრული უნდა იცოდეს.

ასეა თუ ისე, თავად ფაქტს, რომ უკრაინას ეროვნული უმცირესობის შევიწროებას სდებენ ბრალად და ამას აკეთებს არა რუსეთი, არამედ ქვეყნები, რომლებიც ნატოსა და ევროკავშირის შემადგენლობაში შედიან, უნდა შეეფერხებინა რუსეთის მიმართ სანქციების გაგრძელება.

– ისმის კითხვა, რამდენად მიზანშეწონილია, მხარი დავუჭიროთ ქვეყანას, სადაც ეროვნულ უმცირესობებს ჩაგრავენ? – ეს სიტყვები გერმანიის თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ლიდერ კრისტიან ლინდენერს ეკუთვნის.

მიუხედავად ამისა, ევროკავშირმა რუსეთის წინააღმდეგ სანქციები 2018 წლის მარტამდე გააგრძელა.

– ნამდვილად იმედგაცრუებული ვართ. ჩვენ დასავლეთში ნათელი სიგნალი გავგზავნეთ, რომ პარტნიორობა გვსურს. მათ კი ასე გვიპასუხეს, – განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ზახაროვამ.

# რექს ტილერსონი ლონდონში ჩავიდა

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი რექს ტილერსონი ლონდონში ჩავიდა. ის ბრიტანეთის პრემიერ მეის, აგრეთვე საგარეო საქმეთა მინისტრ ბორის ჯონსონს შეხვდა.



ტილერსონმა განაცხადა, რომ ჩრდილოეთ კორეა უფრო მკაცრ სანქციებს იმსახურებდა, ვიდრე მას დაუწესეს. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა გამოთქვა იმედი, რომ ჩინეთი აშშ-ის პოზიციას გაიზიარებს და ჩრდილოეთ კორეის მიმართ მკაცრი სანქციების დაწესებას დათანხმდება.

– აუცილებელია, ჩრდილოეთ კორეას ნავთობის მიწოდება გადავუკეტოთ. ამის შემდეგ ყველაფერი მოგვარდება, – ამბობს ტილერსონი.

# თურქეთი ევროპის საიმედო პარტნიორად რჩება

თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა განაცხადა, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, თურქეთი ევროპის საიმედო პარტნიორად რჩება.

– რუსეთთან კარგი ურთიერთობა არ ნიშნავს იმას, რომ ნატოსთან პარტნიორულ ურთიერთობებზე უარს ვაცხადებთ, – ამბობს ერდოღანი.

პრეზიდენტმა ნატოს ზოგიერთი გენერლის პოზიციის გამო გაოცება გამოთქვა. გენერლებმა მკაცრად გააკრიტიკეს თურქეთი იმის გამო, რომ მან რუსეთისგან საზენიტო დანადგარი ჩ-400 შეიძინა.

– არ მესმის, რატომ გაგვინაწყენდნენ, ნატოს საწინააღმდეგოდ ნაბიჯიც კი არ გადაგვიდგამს და არც გადავდგამთ, – ამბობს ერდოღანი.



# აფეთქება ლონდონის მეტროში




15 სექტემბერს ლონდონის მეტროს ერთ-ერთ ვაგონში ხელნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა ამოქმედდა. ასაფეთქებელ მოწყობილობას „ტაიმერი“ ჰქონდა.

აფეთქების შედეგად 22 ადამიანი დაშავდა.

მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## კალეიდოსკოპი

### ამერიკელს შეყვარებულისთვის ხელის თხოვნის დროს ბეჭედი წყალში ჩაუვარდა

ამერიკის მისურის შტატის ქალაქ კანზას-სიტის მცხოვრები შეეცადა, ხელი ეთხოვა შეყვარებულისთვის და შემთხვევით ნიშნობის ბეჭედი მდინარეში ჩაუვარდა.



მამაკაცმა გოგონა პარკში ლამაზ ადგილას, ხიდზე მიიყვანა, მის წინ მუხლზე დაეშვა, გახსნა კოლოფი და ამ დროს იქიდან ბეჭედი გადმოვარდა. ის ხიდზე გაგორდა და ფიცრებს შორის ჩავარდა.

შეყვარებულების მეგობრები მაშინვე მდინარეში გადახტნენ, მაგრამ ბეჭედი ვერ იპოვნეს. დაკარგული ბეჭედის ღირებულება ოთხი ათას დოლარს შეადგენდა.

ფოტოგრაფმა სტეისი დებნიმ მომხდარი ვიდეოზე გადაიღო და ფეისბუქზე გამოაქვეყნა, სადაც ვიდეორგოლი 100 ათასზე მეტმა ადამიანმა ნახა.

### ჰიუსტონში ტეხასური თანამედროვე ხელოვნების ბაზრობა გადაიდო

თანამედროვე ხელოვნების ტეხასური ბაზრობის მეექვსე სეზონი, რომელიც ჰიუსტონში იმართება, ქარიშხალ „ჰარვის“ გამო გადაიდო. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.



ბაზრობის გახსნა 10 ოქტომბრისთვის იყო დაგეგმილი. ელოდებოდნენ, რომ მასში სხვადასხვა ქვეყნის 65 წარმომადგენელი მიიღებდა მონაწილეობას. როგორც ბაზრობის დირექტორმა კელი ფრიმენმა განაცხადა, ღონისძიების ჩატარება, შეუსაბამოდ მიიჩნიეს, მით უმეტეს, რომ საგამოფენო ცენტრის შენობა დღემდე დაზარალებულთა თავშესაფრად გამოიყენება.

ასევე გადაიდო ბაზრობა მაიამიში, რომელიც დეკემბერში უნდა გამართულიყო. ამჯერად ამის მიზეზი ქარიშხალი „ირმაა“.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ნანა ნადარეიშვილი: მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.**

**ხვიჩა გოგია: კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.**

**მზია დუნდუა: მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# თბილისის ბიგ ბენდი უფასო კონცერტებს იწყებს

თბილისის ბიგ ბენდი უმაღლეს სასწავლებლებსა და განახლებულ აღმაშენებლის გამზირზე უფასო კონცერტების სერიას იწყებს.

ორკესტრის დამაარსებელ გაიოზ კანდელაკის განცხადებით, 17 სექტემბრიდან გემოვნებიანი მუსიკის მოყვარულებს თბილისის ბიგ ბენდის მუსიკოსებისა და მისი სოლისტების მოსმენა უფასოდ შეეძლებათ.

17 სექტემბერს თბილისის ბიგ ბენდი კონცერტს განახლებულ აღმაშენებლის გამზირზე, ღია ცის ქვეშ გამართავს, 18 სექტემბერს საპატრიარქოს უნივერსიტეტში სტუდენტებისთვის დაუკრავს, 20 სექტემბერს ვაკის პარკში თბილისის მერიის დაქვემდებარებაში მყოფი სამსახურების თანამშრომლებისთვის კონცერტი ჩატარდება, 25 სექტემბერს მუსიკოსები და მომღერლები ილიაუნის სტუდენტებს სწავლის დაწყებას კონცერტით მიულოცავენ, 7 ოქტომბერს თბილისის ბიგ ბენდი თბილისობის დღესასწაულს საღამოს მიუძღვნის, 14 ოქტომბერს კი კვლავ განახლებულ აღმაშენებლის გამზირზე დაუკრავს.



უახლოეს მომავალში დაგეგმილია თბილისის ბიგ ბენდის მუსიკოსებისა და მომღერლების კონცერტების ჩატარება სამედიცინო უნივერსიტეტში, გურამ თავართქილაძის სახელობის უნივერსიტეტში, ჯავახიშვილის უნივერსიტეტში, პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში.

– ჩვენ ამ კონცერტებს უფასოდ იმიტომ ვატარებთ, რომ გვინდა, მომავალი თაობები ვაზიაროთ გემოვნებიან მუსიკას და მათი ესთეტიკური გემოვნება დავხვეწოთ. თუ მომავალ მსახიობებს, ექიმებს, იურისტებს, დიპლომატებსა თუ ინჟინრებს გემოვნება არ გავუზარდეთ, ისინი მაგრები ვერასოდეს იქნებიან, – აცხადებს გაიოზ კანდელაკი.

თბილისის ბიგ ბენდის რეპერტუარი საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანია. ისინი ასრულებენ როგორც ქართულ ხალხურ, ასევე მსოფლიო ჰიტებსა და ჯაზურ კომპოზიციებს.

მათი უმაღლესი კლასის დასტურია ის, რომ თბილისის ბიგ ბენდი სერბეთსა და ბულგარეთში საერთაშორისო ჯაზფესტივალებზე მიიწვიეს, სადაც ქართველებმა უმაღლესი შეფასება და უდიდესი მოწონება დაიმსახურეს. ფესტივალებში მონაწილეობის პატივი აქვთ მსოფლიოში აღიარებულ მუსიკოს-შემსრულებლებს, მათ შორის კი პირველად აღმოჩნდნენ თბილისის ბიგ ბენდის წევრები. თბილისის ბიგ ბენდმა ამ ფესტივალებში მონაწილეობა პირველად მიიღო, თუმცა მომავალი წლისთვის ორივე ფესტივალის ორგანიზატორმა ქართველებს რეპერტუარი უკვე შეუკვეთა.

როგორც გაიოზ კანდელაკმა განაცხადა, მიმდინარეობს მოლაპარაკებები, რათა მომავალ წელს თბილისის ბიგ ბენდმა კონცერტები ამერიკაში გამართოს. მანამდე კი ანსამბლ „ქართულ ხმებს“, რომელმაც წელს დაარსებიდან 30 წლის იუბილე იზეიმა, დიდი სურვილი აქვს, ბლექ სი არენაზე თბილისის ბიგ ბენდთან ერთად ჩატარებული კონცერტით საქართველოს რეგიონები შემოიაროს.

# „შინდისის“ გადაღებები დაიწყო




მსახიობმა და პროდიუსერმა ედმონდ აბაშიძე-მინაშვილმა დაინტერესებულ საზოგადოებას ფილმ „შინდისთან“ დაკავშირებული სიახლეები პირადად გააცნო:

– დავიწყეთ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის „შინდისის“ წარმოება. საბრძოლო სცენების გადაღებები მიმდინარეობს გორში, შინდისის გზატკეცილზე, ორთაშენის სასაწყობო ბაზაზე. გადამღებ ჯგუფთან ერთად მობილიზებულია დიდი რაოდენობის მძიმე საბრძოლო ტექნიკა და ასევე სამხედრო პირები.

ორი კვირის განმავლობაში ქალაქ გორში იქნება მასშტაბური აფეთქებებისა და გასროლის ხმები. აქედან გამომდინარე, მივმართავთ ქალაქ გორის მოსახლეობას – გთხოვთ, მიაწოდოთ ინფორმაცია ყველას არსებული ვითარების შესახებ, ვისთანაც მიგიწვდებათ ხმა, რათა არ იყოს მოსახლეობისთვის პანიკისა და შიშის საფუძველი.

ჩვენ ამ ფილმით ვაცოცხლებთ ისტორიას, რომელიც ყველამ უნდა იცოდეს – 2008 წლის 11 აგვისტოს მომხდარ ტრაგედიას, სადაც ბრძოლის ველზე გმირულად დაეცა 17 ქართველი მებრძოლი, ჩვენი ძმები! დიდი მადლობა ქალაქ გორის მოსახლეობას მასპინძლობისა და მხარდაჭერისთვის.

ფილმს რეჟისორი დიტო ცინცაძე იღებს. ფილმში მონაწილეობენ როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მსახიობები. მთავარ როლს მერაბ ნინიძე თამაშობს, მასთან ერთად ფილმში მონაწილეობენ ია სუხიტაშვილი, გიორგი ბაბლუანი და ჰოლივუდში ცნობილი ქართველი მსახიობი დავით ბახტაძე.

ფილმისთვის მუსიკას გია ყანჩელი წერს. სცენარის ავტორი ირაკლი სოლომონაშვილია, დამდგმელი ოპერატორი – მინდია ესაძე, მხატვარი თეო – ბარამიძე, პროდიუსერები კი ედმონდ მინაშვილი, ვლადიმერ კაჭარავა და მინდია ესაძე არიან. ედმონდ მინაშვილს უკვე აქვს ნამუშევარი შინდისის გმირების თემაზე და დოკუმენტური ფილმების ციკლი აქვს შექმნილი.

სცენარს საფუძვლად უდევს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში რეალურად მომხდარი ამბავი. მთავარი გმირი 45 წლის ქართველი გლეხია, მეტსახელად ახმეტა. ის მძიმე სენით დაავადებულ ცოლთან, ხატიასთან ერთად საომარი მოქმედებების მახლობლად, ერთ-ერთ ქართულ სოფელ შინდისში ცხოვრობს. აგვისტოს ომში სოფელ შინდისში დატრიალებული მოვლენები რიგითი ქართველი გლეხის ცხოვრებას სამუდამოდ ცვლის. სწორედ ამ სოფლის რკინიგზის სადგურში მძიმე ტექნიკით შეიარაღებული რუსული სამხედრო ნაწილი ქართველებისთვის მიცემულ მშვიდობიანი დერეფნის პირობას არღვევს და ჩასაფრებაში შეტყუებულ ქართველ მეომრებს გამანადგურებელ ცეცხლს უხსნის. ქართველი ჯარისკაცების ერთი ნაწილი, 25 მეომარი, ცეცხლს საკუთარ თავზე იღებს და სხვათა სამშვიდობოზე გასვლას უზრუნველყოფს. უთანასწორო შეტაკებაში რუსული ჯარის მაღალჩინოსანი, ივანოვი, საწადელს ვერ აღწევს – ქართველთა მსხვერპლი გაცილებით მცირეა, ვიდრე მას სურდა, რომ ყოფილიყო. ივანოვის შურისძიება ისტერიკაში გადაიზრდება. ის ბრძოლის ველზე დაჭრილ ქართველ ჯარისკაცებს დაეძებს და ქართველთა გვამების დამარხვაზეც კი უარს ამბობს. ივანოვის სისასტიკის მიუხედავად, დაჭრილი ქართველი ჯარისკაცები რუსული არმიის ცხვირწინ ბრძოლის ველიდან უჩინარდებიან – გლეხი ახმეტა, რამდენიმე თანასოფლელთან ერთად, გასაოცარ მოქალაქეობრივ გმირობას იჩენს და ხუთი დღე-ღამის განმავლობაში რუსული ჯარის მიერ ოკუპირებულ სოფელში დაჭრილი ქართველი ჯარისკაცების არა მხოლოდ გადამალვას, არამედ მათთვის პირველადი დახმარების აღმოჩენასაც კი ახერხებს. „ძლევამოსილი რუსული არმიის“ მაღალჩინოსნისა და უბრალო ქართველი გლეხის დაპირისპირება ახმეტას სასარგებლოდ მთავრდება. უიარაღო გლეხი ტანკებით შეიარაღებულ „სალდათს“ ქართველი ჯარისკაცების განადგურების საშუალებას არ აძლევს.

„შინდისის“ გადაღებას მთავრობის სარეზერვო ფონდი დააფინანსებს. ამ მიზნით მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 801.384 ლარი გამოიყო.

# ნინო ქათამაძე საერთაშორისო ეთნიკურ ფესტივალზე მიიწვიეს



მომღერალი ნინო ქათამაძე რუსეთში დაგეგმილ საერთაშორისო ეთნიკურ ფესტივალზე მიიწვიეს. ფესტივალი კოლომენსკში ცნობილი რუსი მომღერლის ზარას პატრონაჟით გაიმართა.

„ჩვენი გულების მუსიკა“ – ასეთი იყო ფესტივალის დევიზი, რომელმაც ეთნიკური მუსიკისა და ფოლკლორის ფესტივალის ფარგლებში სცენაზე გააერთიანა ის მომღერლები, რომლებიც თავიანთი ქვეყნებისეროვნულ კოლორიტს წარმოადგენენ.

ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს სერბეთის, რუსეთის, ისრაელის, საქართველოსა და უზბეკეთის წარმომადგენლებმა. საქართველოდან სპეციალური სტუმრის სტატუსით ნინო ქათამაძე და ჯგუფი „ინსაითი“ მიიწვიეს. ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს ანსამბლმა „რუსთავმა“, პელაგეამ, გორან ბრეგოვიჩმა და სხვა სტუმრებმა. მათ შეასრულეს მუსიკა, რომელიც მათი ქვეყნის კულტურას, ტრადიციასა და ისტორიას გადმოსცემს.

ფესტივალზე დასწრება, ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, თავისუფალი იყო და ნებისმიერ მსურველს შეეძლო.

# ნინი ონიანი და ვაჟიკო მახვილაძე დაშორდნენ



მოდელი ნინი ონიანი და მისი მეუღლე ვაჟიკო მახვილაძე ერთმანეთს დაშორდნენ. ინფორმაცია ამის შესახებ ინტერნეტში გავრცელდა, თუმცა თავად მოდელმა ჟურნალისტებთან ამ თემაზე საუბარი კატეგორიულად არ ისურვა.

ნინი და ვაჟიკო გასულ წელს დაქორწინდნენ. ნინიმ სოციალურ ქსელში საკუთარ სახელსა და გვარს ქმრის გვარიც დაამატა და მეგობრებისა და დაინტერესებული პირებისთვის ნინი ონიანი მახვილაძე გახდა. ახლა კი ნინის სოციალურ ქსელში მხოლოდ თავისი გვარი უწერია და მეუღლის ფოტოებსაც აღარ ავრცელებს.

ნინიმ და ვაჟიკომ ერთმანეთში უცხოეთში გაიცნეს. ისინი დაქორწინდნენ და რამდენიმე თვის ბიჭი ლუკაც ჰყავთ, თუმცა, როგორც ჩანს, წყვილმა ცალ-ცალკე ცხოვრება გადაწყვიტა.

ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ ნინის მიმართ ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდა, თუმცა მოდელს ყურადღება არასოდეს აკლდა. როგორც ჩანს, ბოლო პერიოდში ნინის მიმართ ინტერესი იმდენად გაიზარდა, რომ ამან მოდელი გააღიზიანა:

– ბოზი, აგენტი, ცუდი ადამიანი, „სწერვა“ ,მახინჯი... ეტც. ნუ შემჭამეთ რა... დიახ, ვარ ყველაფერი და იმაზე უარესი კიდე, ვიდრე თქვენ წარმოგიდგენიათ..!!! არ წაიღეს ტვინი ბლიად....!!!! მოგი....ანთ პატიოსნება და კდემა....!!! ტფუი. ხო კიდე არც ქალიშვილი გავთხოვილვარ და 1 კაცზე მეტი მყავდა.... მაინც რომ იცოდეთ.... გაინტერესებთ ალბათ...

# ანკარაში თბილისის პარკი გაიხსნა



თურქეთის ქალაქ ანკარაში საქართველოს საელჩოსა და ანკარის ჩანქაიას რაიონის მერიის აქტიური თანამშრომლობის შედეგად და საქართველო-თურქეთის დიპლომატიური ურთიერთობის 25-ე წლისთავის ფარგლებში, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ, საქართველოს ელჩმა ირაკლი კოპლატაძემ და ჩანქაიას მერმა ალფერ თაშდელენმა ჩანქაიას რაიონის ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში „თბილისის პარკი“ გახსნეს და პარკის ტერიტორიაზე სიმბოლურად ნაძვის ხე დარგეს.

პარკი მთლიანად კეთილმოწყობილია. მისი ტერიტორია შეადგენს 4547 კვადრატულ მეტრს, სადაც განთავსებულია სპორტული სავარჯიშო ინვენტარი, ბავშვებისთვის გამოყოფილია სათამაშო ტერიტორია, ხოლო მოსახლეობისთვის – დასასვენებელი ადგილები. ტერიტორიაზე დარგულია სხვადასხვა სახეობის ხეები და ყვავილები. უახლოეს მომავალში პარკის ცენტრალურ ნაწილში საქართველო-თურქეთის მეგობრობის ამსახველი მონუმენტის დადგმაც იგეგმება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კალეიდოსკოპი

## ანტილოპის ნიანგისგან გადარჩენა ვიდეოზე გადაიღეს



კენიის ეროვნულ პარკ მასაი-მარაში საფარის მონაწილემ ვიდეოზე გადაიღო ნიანგის ყბებისგან ანტილოპის თავის დაღწევის მომენტი. ვიდეორგოლი იუთუბიზე ეროვნული პარკის არხზე იქნა განთავსებული.

ვიდეორგოლი მას შემდეგ იწყება, როდესაც რეპტილია ანტილოპა ემპალას თავს დაესხა. მტაცებელს მიწაზე დაგდებული ანტილოპა უკანა ფეხით უჭირავს და მოთმინებით იცდის. 30 წამის შემდეგ მან ყბები, რომლითაც მსხვერპლი ეჭირა, ოდნავ გახსნა, რითიც ემპალამ დაუყოვნებლივ ისარგებლა, წამოხტა და გაიქცა. ნიანგმა მაშინვე დაკარგა მის მიმართ ინტერესი, შეტრიალდა და საწინააღმდეგო მიმართულებით გაემართა.

ვიდეორგოლი გამოქვეყნებიდან ერთ დღეში 110 ათასზე მეტმა ადამიანმა ნახა.

## მთვრალმა ბრიტანელმა ხელოვნური წყალსაცავი გადაცურა

მთვრალი ბრიტანელი გახდა პირველი ადამიანი, რომელმაც აშშ-ში გუვერის კაშხალთან წყალსაცავი გადაცურა და ცოცხალი გადარჩა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

უელსის ქალაქ რიტინის მკვიდრი, ამწეს მძღოლი 28 წლის არონ ჰიუზი ლას-ვეგასში მეგობრებთან ერთად ისვენებდა. 37-საათიანი ლოთობის შემდეგ ისინი გუვერის კაშხლის მახლობლად აღმოჩნდნენ, რომელიც ნევადის და არიზონის შტატების საზღვარზე მდებარეობს. ჰიუზმა გადაწყვიტა გაეცურა და სიტყვებით „მე წავედი“ წყალში გადახტა, ისე, რომ ფეხზე ბოტასები არც კი გაუხდია.



გუვერის კაშხალი ჰიდროელექტროსადგურის ნაწილს წარმოადგენს, რომელიც ელექტროობით ამარაგებს ლას-ვეგასს. ელექტროსადგურის ტურბინებს მოცურავე შეეძლოთ ჩაეთრიათ, მაგრამ, საბედნიეროდ, იმ დღეს, ერთის გარდა, ყველა ტურბინა გამორთული აღმოჩნდა.

– მე გავცურე არიზონიდან ნევადამდე, ჯერ იქით, მერე უკან, – განაცხადა ჰიუზმა, – მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, თუ რამდენი ადამიანი იყო ამის მცდელობის დროს დაღუპული.

მეორე ნაპირზე მას უკვე ელოდებოდნენ პოლიციელები, რომლებმაც ბრიტანელს აცნობეს, რომ აქამდე ამის გაკეთება ვერავინ შეძლო და 330 დოლარით დააჯარიმეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# მადლობა ზაზას 17 წლისთვის!

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და ამერიკის ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის გუნდ გოლდენ სტეიტ უორიორზის ცენტრმა, 33 წლის ზაზა ფაჩულიამ, სანაკრებო კარიერა დაასრულა. საქართველოს ნაკრების კაპიტანმა ისრაელში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების ჯგუფურ ეტაპზე ჩარჩენის შემდეგ განაცხადა.



2000 წლის 17 მაისს საქართველოს კალათბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე 71:92 წააგო ლუქსემბურგთან. ეს მატჩი იმით არის გამორჩეული, რომ მასში ეროვნულ ნაკრებში ზაზა ფაჩულიას დებიუტი შედგა. ახალგაზრდა, 17 წლის ქართველი ცენტრი ეროვნული ნაკრების მაისურით პირველად გავიდა მოედანზე და 21 წუთში 9 ქულა და 9 მოხსნა მოაგროვა.

მანამდე მხოლოდ საკალათბურთო წრეებისთვის ცნობილი ნიჭიერი ახალგაზრდა მთელმა საქართველომ გაიცნო. იმ დღეს საქართველოს ეროვნულ გუნდს ახალი ლიდერი მოევლინა, რომელმაც ეს სტატუსი 17 წლის მანძილზე ღირსეულად ატარა და ევრობასკეტ 2017-ის მატჩში იტალიასთან დასანანი მარცხის შემდეგ სანაკრებო კარიერა დაასრულა.

იტალიასთან ბოლო წამებზე დამარცხებით გულგატეხილმა საქართველოს ნაკრების წევრებმა ეს ამბავი 7 სექტემბერს, გამთენიისას, სოციალური ქსელით შეიტყვეს. ზაზამ ეროვნული ნაკრებში კარიერის დასრულების ამბავი პირველად ოფიციალურად საკუთარი ფეისბუქის გვერდზე თელ ავივიდან დაწერა, რამაც ნაკრების ხელმძღვანელობას ერთდროულად მწუხარებისა და მადლიერების გრძნობა მოჰგვარა.

ზაზა ფაჩულია 17 წლის განმავლობაში გახლდათ ეროვნული ნაკრების ლიდერი და მისი ერთ-ერთი ყველაზე ქარიზმატული წევრი. ყველა დიდმა გამარჯვებამ, რომელიც საქართველოს ნაკრებმა 21-ე საუკუნეში მოიპოვა, ფაჩულიას მხრებზე გადაიარა. ყველა შეხვედრაში, რომელშიც ზაზამ ითამაშა, უკან არ დაუხევია და ოპონენტებთან ბრძოლაში უმეტეს შემთხვევაში გამარჯვებული გამოვიდა.

2017 წლის ევროპის ჩემპიონატზე ზაზამ 5 მატჩი ითამაშა და მისი საშუალო სტატისტიკური მაჩვენებლები 26.1 წუთი, 13.4 ქულა 9.1 მოხსნა და 1.6 პასი გახლდათ.

ზაზა ფაჩულია დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ყველაზე გამორჩეული კალათბურთელია. მისი კაპიტნობით ეროვნულმა ნაკრებმა ზედიზედ 4 ევროპის ჩემპიონატზე ითამაშა – 2011 წელს ლიტვაში, 2013 წელს სლოვენიაში, 2015 წელს ხორვატიაში და 2017 წელს – ისრაელში.

ფაჩულიამ ეროვნულ ნაკრებში თამაში 2000 წლიდან დაიწყო, 1999-2003 წლებში 211 სმ. სიმაღლის ქართველი ცენტრი სტამბოლის ულქერის ღირსებას იცავდა, 2003 წლიდან კი საკლუბო კარიერა ამერიკის ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში გააგრძელა, სადაც 5 სხვადასხვა გუნდში ითამაშა – ორლანდო მეჯიქი, მილუოკი ბაქსი, ატლანტა ჰოუქსი, დალას მავერიქსი, გოლდენ სტეიტ უორიორზი და პირველი ქართველი კალათბურთელი გახდა, რომელმაც ნბა-ს ჩემპიონის ტიტული მიპოვა. ეს წელს მოხდა გოლდენ სტეიტთან ერთად.

2017 წელს ზაზა ფაჩულია საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ღირსების ორდენით დააჯილდოვა.

# რუნი მანჩესტერის წინააღმდეგ

## სტატისტიკა, ფსონები

ამ უქმეებზეც ყველაზე დიდი ინტერესი ინგლისისკენ იქნება მიმართული. მთავარი მატჩი ლონდონური დერბია – ჩელსი-არსენალი, მაგრამ ასევე ყურადსაღებია შეხვედრა მანჩესტერში, სადაც იუნაიტედთან სათამაშოდ ევერტონში დაბრუნებული უეინ რუნი ჩავა.




### ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 16.09 კრ.პალასი-საუთჰემპტონი | 2.87 | 3.2 | 2.5 |
| 16.09 ლივერპული-ბარნლი | 1.28 | 5.5 | 10.0 |
| 16.09 უოტფორდი-სიტი | 8.5 | 5.5 | 1.3 |
| 16.09 ნიუკასლი-სტოკი | 2.4 | 3.2 | 3.0 |
| 16.09 ვესტ ბრომვიჩი-ვესტ ჰემი | 2.37 | 3.0 | 3.25 |
| 16.09 ჰადერსფილდი-ლესტერი | 3.2 | 3.2 | 2.3 |
| 16.09 ტოტენჰემი-სუონსი | 1.25 | 6.0 | 11.0 |
| 17.09 ჩელსი-არსენალი | 1.75 | 3.75 | 4.5 |
| 17.09 მანჩესტერი-ევერტონი | 1.33 | 4.8 | 10.0 |

**კრ.პალასი-საუთჰემპტონი**

კრ.პალასი: ***ტრავმ***-ვილფრედ ზაჰა, ჯაირო რიდელვალდი, პაპე სუარე

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-ვირჯილ ვან დიიკი

**ლივერპული-ბარნლი**

ლივერპული: ***ტრავმ***-ადამ ლალანა

ბარნლი: ***ტრავმ***-არავინ

**უოტფორდი-სიტი**

უოტფორდი: ***ტრავმ***-დარილ იანმაატი, იუნის კაბული, მაურო ზარატე

სიტი: ***ტრავმ***-ვინსენტ კომპანი, ილქაი გუნდოგანი

**ნიუკასლი-სტოკი**

ნიუკასლი: ***ტრავმ***-ჩანსელ მბენბა, პოლ დამერტი, დუაიტ გაილი

სტოკი: ***ტრავმ***-რაიან შოუკროსი, კურტ ზუმა, იბრაჰიმ აფელაი, სტივენ აირლანდი

**ვესტ ბრომვიჩი-ვესტ ჰემი**

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-არავინ

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-ანდრე აიევი, უინსტონ რიდი, ენდი კეროლი

**ჰადერსფილდი-ლესტერი**

ჰადერსფილდი: ***ტრავმ***-ჯონათან ჰოგი

ლესტერი: ***ტრავმ***-ვინსენტ იბორა, რობერტ ჰანტი

**ტოტენჰემი-სუონსი**

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-ვიქტორ ვანიამა, ერიკ ლამელა, დანი როუზი

სუონსი: ***ტრავმ***-ჯორდან აიევი, კილი ბრაიტონი, ნათან დაიერი

**ჩელსი-არსენალი**

ჩელსი: ***ტრავმ***-არავინ

არსენალი: ***ტრავმ***-სანტი კაზორლა

**მანჩესტერი-ევერტონი**

მანჩესტერი: ***ტრავმ***-ეშლი იანგი, ზლატან იბრაჰიმოვიჩი, ლუკ შოუ, მარკოს როხო

ევერტონი: ***ტრავმ***-ჯორდან პიკფორდი, იანიკ ბოლასიე, სიმუს კოულმენი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 4 | 3 | 1 | 0 | 12-2 | 10 |
| 2.სიტი | 4 | 3 | 1 | 0 | 10-2 | 10 |
| 3.ჩელსი | 4 | 3 | 0 | 1 | 8-5 | 9 |
| 4.უოტფორდი | 4 | 2 | 2 | 0 | 7-3 | 8 |
| 5.ტოტენჰემი | 4 | 2 | 1 | 1 | 7-3 | 7 |
| 6.ჰადერსფილდი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-2 | 7 |
| 7.ბარნლი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-4 | 7 |
| 8.ლივერპული | 4 | 2 | 1 | 1 | 8-8 | 7 |
| 9.ვესტ ბრომვიჩი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-4 | 7 |
| 10.ნიუკასლი | 4 | 2 | 0 | 2 | 4-3 | 6 |
| 11.არსენალი | 4 | 2 | 0 | 2 | 7-8 | 6 |
| 12.სტოკი | 4 | 1 | 2 | 1 | 4-4 | 5 |
| 13.საუთჰემპტონი | 4 | 1 | 2 | 1 | 3-4 | 5 |
| 14.ბრაიტონი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-5 | 4 |
| 15.სუონსი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-5 | 4 |
| 16.ევერტონი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-6 | 4 |
| 17.ლესტერი | 4 | 1 | 0 | 3 | 6-8 | 3 |
| 18.ვესტ ჰემი | 4 | 1 | 0 | 3 | 4-10 | 3 |
| 19.ბორნმუთი | 4 | 0 | 0 | 4 | 1-8 | 0 |
| 20.კრ.პალასი | 4 | 0 | 0 | 4 | 0-7 | 0 |

### ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 16.09 ლევანტე-ვალენსია | 3.0 | 3.25 | 2.37 |
| 16.09 ხეტაფე-ბარსელონა | 11.0 | 6.0 | 1.25 |
| 16.09 ბეტისი-დეპორტივო | 1.83 | 3.5 | 4.2 |
| 16.09 ატლეტიკო-მალაგა | 1.22 | 5.5 | 15.0 |
| 17.09 ალავესი-ვილიარეალი | 3.0 | 3.0 | 2.5 |
| 17.09 ხირონა-სევილია | 3.0 | 3.4 | 2.15 |
| 17.09 ლას პალმასი-ბილბაო | 2.0 | 3.4 | 2.37 |
| 17.09 სოსიედადი-რეალი | 4.5 | 4.2 | 1.67 |
| 18.09 ესპანიოლი-სელტა | 2.3 | 3.2 | 3.2 |

**ლევანტე-ვალენსია**

ლევანტე: ***ტრავმ***-როჯერ მარტი

ვალენსია: ***ტრავმ***-ნაჩო ჟილი, რუბენ ვეზო

**ხეტაფე-ბარსელონა**

ხეტაფე: ***ტრავმ***-არავინ

ბარსელონა: ***ტრავმ***-სერხი რობერტო, არდა თურანი, რაფინია

**ბეტისი-დეპორტივო**

ბეტისი: ***ტრავმ***-არავინ

დეპორტივო: ***ტრავმ***-რუბენი

**ატლეტიკო-მალაგა**

ატლეტიკო: ***ტრავმ***-აუგუსტო ფერნანდესი

მალაგა: ***ტრავმ***-ხუანკარი, მიგელ ტორესი

**ალავესი-ვილიარეალი**

ალავესი: ***ტრავმ***-ექტორი

ვილიარეალი: ***ტრავმ***-ანდრეს ფერნანდესი

**ხირონა-სევილია**

ხირონა: ***ტრავმ***-არავინ

სევილია: ***ტრავმ***-გვიდო პიზარო, ნიკოლას პარეხა

**ლას პალმასი-ბილბაო**

ლას პალმასი: ***ტრავმ***-ტანა

ბილბაო: ***ტრავმ***-ოსკარ დე მარკოსი

**სოსიედადი-რეალი**

სოსიედადი: ***ტრავმ***-რაულ ნავასი

რეალი: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-კრიშტიანუ რონალდუ

**ესპანიოლი-სელტა**

ესპანიოლი: ***ტრავმ***-ხავი ლოპესი

სელტა: ***ტრავმ***-არავინ

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 3 | 3 | 0 | 0 | 9-0 | 9 |
| 2.სოსიედადი | 3 | 3 | 0 | 0 | 10-4 | 9 |
| 3.სევილია | 3 | 2 | 1 | 0 | 5-1 | 7 |
| 4.ბილბაო | 3 | 2 | 1 | 0 | 3-0 | 7 |
| 5.ლეგანესი | 3 | 2 | 0 | 1 | 3-2 | 6 |
| 6.ატლეტიკო | 3 | 1 | 2 | 0 | 7-3 | 5 |
| 7.რეალი | 3 | 1 | 2 | 0 | 6-3 | 5 |
| 8.ლევანტე | 3 | 1 | 2 | 0 | 4-3 | 5 |
| 9.ვალენსია | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| 10.ხეტაფე | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 11.ხირონა | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 4 |
| 12.სელტა | 3 | 1 | 0 | 2 | 4-5 | 3 |
| 13.ვილიარეალი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-5 | 3 |
| 14.ლას პალმასი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-7 | 3 |
| 15.ბეტისი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-6 | 3 |
| 16.ეიბარი | 3 | 1 | 0 | 2 | 1-4 | 3 |
| 17.დეპორტივო | 3 | 0 | 1 | 2 | 4-9 | 1 |
| 18.ესპანიოლი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-7 | 1 |
| 19.მალაგა | 3 | 0 | 0 | 3 | 1-5 | 0 |
| 20.ალავესი | 3 | 0 | 0 | 3 | 0-4 | 0 |

### გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 16.09 ბაიერნი-მაინცი | 1.12 | 8.5 | 19.0 |
| 16.09 ვერდერი-შალკე | 2.6 | 3.4 | 2.62 |
| 16.09 შტუტგარტი-ვოლფსბურგი | 2.37 | 3.4 | 2.9 |
| 16.09 აინტრახტი-აუგსბურგი | 1.85 | 3.3 | 4.6 |
| 16.09 ლაიპციგი-გლადბახი | 1.65 | 4.0 | 5.0 |
| 17.09 ჰოფენჰაიმი-ჰერტა | 1.67 | 3.8 | 5.0 |
| 17.09 ლევერკუზენი-ფრაიბურგი | 1.44 | 4.5 | 7.0 |
| 17.09 დორტმუნდი-კიოლნი | 1.28 | 5.5 | 10.0 |

**ბაიერნი-მაინცი**

ბაიერნი: ***ტრავმ***-ჟერომ ბოატენგი, დავიდ ალაბა, ხუან ბერნატი

მაინცი: ***ტრავმ***-არავინ

**ვერდერი-შალკე**

ვერდერი: ***ტრავმ***-უსმან მანე

შალკე: ***ტრავმ***-არავინ

**შტუტგარტი-ვოლფსბურგი**

შტუტგარტი: ***ტრავმ***-ჰოლგერ ბადშტურბერი, მატიას ციმერმანი

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-არავინ

**აინტრახტი-აუგსბურგი**

აინტრახტი: ***ტრავმ***-მაკოტო ჰასებე

აუგსბურგი: ***ტრავმ***-ტიმ რაიდერი

**ლაიპციგი-გლადბახი**

ლაიპციგი: ***ტრავმ***-არავინ

გლადბახი: ***ტრავმ***-იბრაჰიმა ტრაორე

**ჰოფენჰაიმი-ჰერტა**

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-ადამ ზალაი, სერჟ გნაბრი

ჰერტა: ***ტრავმ***-არავინ

**ლევერკუზენი-ფრაიბურგი**

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-ტიმ იედვაი

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-მარკ-ოლივერ კემპი

**დორტმუნდი-კიოლნი**

დორტმუნდი: ***ტრავმ***-ერიკ დარმი, ანდრეა შურლე, მარკო როისი

კიოლნი: ***ტრავმ***-მილოშ ჯოჯიჩი, მარსელ რიისე

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-0 | 7 |
| 2.ჰოფენჰაიმი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 7 |
| 3.ჰანოვერი | 3 | 2 | 1 | 0 | 3-1 | 7 |
| 4.ლაიპციგი | 3 | 2 | 0 | 1 | 6-3 | 6 |
| 5.შალკე | 3 | 2 | 0 | 1 | 5-2 | 6 |
| 6.ბაიერნი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-3 | 6 |
| 7.ჰამბურგი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-3 | 6 |
| 8.აუგსბურგი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-3 | 4 |
| 9.გლადბახი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 10.ჰერტა | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 11.აინტრახტი | 3 | 1 | 1 | 1 | 1-1 | 4 |
| 12.ვოლფსბურგი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-4 | 4 |
| 13.მაინცი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-3 | 3 |
| 14.შტუტგარტი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-5 | 3 |
| 15.ფრაიბურგი | 3 | 0 | 2 | 1 | 1-4 | 2 |
| 16.ვერდერი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-4 | 1 |
| 17.ლევერკუზენი | 3 | 0 | 1 | 2 | 4-8 | 1 |
| 18.კიოლნი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-7 | 0 |

### იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 16.09 კროტონე-ინტერი | 9.0 | 5.0 | 1.33 |
| 16.09 ფიორენტინა-ბოლონია | 1.53 | 4.2 | 6.0 |
| 16.09 რომა-ვერონა | 1.2 | 7.0 | 12.0 |
| 17.09 სასუოლო-იუვენტუსი | 7.5 | 4.33 | 1.44 |
| 17.09 მილანი-უდინეზე | 1.36 | 4.76 | 8.5 |
| 17.09 ნაპოლი-ბენევენტო | 1.1 | 9.5 | 21.0 |
| 17.09 სპალი-კალიარი | 2.45 | 3.25 | 2.9 |
| 17.09 ტორინო-სამპდორია | 1.7 | 3.6 | 4.5 |
| 17.09 კიევო-ატალანტა | 2.8 | 3.1 | 2.62 |
| 17.09 ჯენოა-ლაციო | 3.75 | 3.6 | 1.95 |

**კროტონე-ინტერი**

კროტონე: ***ტრავმ***-ანდრეა ნალინი, მარიანო ისკო

ინტერი: ***ტრავმ***-დავიდე სანტონი

**ფიორენტინა-ბოლონია**

ფიორენტინა: ***ტრავმ***-ვალენტინ იესერიჩი

ბოლონია: ***ტრავმ***-ვასილის ტოროსიდისი

**რომა-ვერონა**

რომა: ***ტრავმ***-ემერსონი

ვერონა: ***ტრავმ***-ალესიო ჩერჩი

**სასუოლო-იუვენტუსი**

სასუოლო: ***ტრავმ***-ნიკოლას პერინი

იუვენტუსი: ***ტრავმ***-ჯორჯო კიელინი, სამი ხედირა, კლაუდიო მარკიზიო, მარკო პიაცა

**მილანი-უდინეზე**

მილანი: ***ტრავმ***-ანდრეა კონტი

უდინეზე: ***ტრავმ***-სტიპე პერიცა

**ნაპოლი-ბენევენტო**

ნაპოლი: ***ტრავმ***-ლენადრინიო, ლორენცო ტონელი

ბენევენტო: ***ტრავმ***-ანდრეა კოსტა

**სპალი-კალიარი**

სპალი: ***ტრავმ***-მარიოს ოიკონომოუ, სერჟიო ფლოკარი

კალიარი: ***ტრავმ***-გრეგორი ვან დერ ვილი

**ტორინო-სამპდორია**

ტორინო: ***ტრავმ***-მარკო ვალდიფიორი

სამპდორია: ***ტრავმ***-არავინ

**კიევო-ატალანტა**

კიევო: ***ტრავმ***-არავინ

ატალანტა: ***ტრავმ***-ფრანჩესკო როსი

**ჯენოა-ლაციო**

ჯენოა: ***ტრავმ***-ალეანდრო როსი

ლაციო: ***ტრავმ***-ფელიპე ანდერსონი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 3 | 3 | 0 | 0 | 10-2 | 9 |
| 2.ნაპოლი | 3 | 3 | 0 | 0 | 9-2 | 9 |
| 3.ინტერი | 3 | 3 | 0 | 0 | 8-1 | 9 |
| 4.ლაციო | 3 | 2 | 1 | 0 | 6-2 | 7 |
| 5.ტორინო | 3 | 2 | 1 | 0 | 5-1 | 7 |
| 6.სამპდორია | 2 | 2 | 0 | 0 | 4-2 | 6 |
| 7.მილანი | 3 | 2 | 0 | 1 | 6-5 | 6 |
| 8.სპალი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 4 |
| 9.ბოლონია | 3 | 1 | 1 | 1 | 2-4 | 4 |
| 10.რომა | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 11.ფიორენტინა | 3 | 1 | 0 | 2 | 6-5 | 3 |
| 12.უდინეზე | 3 | 1 | 0 | 2 | 4-5 | 3 |
| 13.ატალანტა | 3 | 1 | 0 | 2 | 3-5 | 3 |
| 14.კიევო | 3 | 1 | 0 | 2 | 3-6 | 3 |
| 15.კალიარი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-5 | 3 |
| 16.ჯენოა | 3 | 0 | 1 | 2 | 2-5 | 1 |
| 17.სასუოლო | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 |
| 18.კროტონე | 3 | 0 | 1 | 2 | 0-4 | 1 |
| 19.ვერონა | 3 | 0 | 1 | 2 | 1-8 | 1 |
| 20.ბენევენტო | 3 | 0 | 0 | 3 | 1-4 | 0 |

### საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 16.09 მონაკო-სტრასბურგი | 1.2 | 6.5 | 13.0 |
| 16.09 დიჟონი-სტ.ეტიენი | 3.1 | 3.1 | 2.4 |
| 16.09 გენგამი-ლილი | 2.2 | 3.3 | 3.3 |
| 16.09 ნანტი-კაენი | 2.0 | 3.25 | 4.0 |
| 17.09 ამიენი-მარსელი | 3.8 | 3.6 | 1.95 |
| 17.09 ანჟე-მეცი | 1.5 | 4.0 | 7.0 |
| 17.09 რენი-ნიცა | 2.3 | 3.3 | 3.2 |
| 17.09 პსჟ-ლიონი | 1.13 | 8.0 | 13.0 |

**მონაკო-სტრასბური**

მონაკო: ***ტრავმ***-არავინ

სტრასბური: ***ტრავმ***-არავინ

**დიჟონი-სტ.ეტიენი**

დიჟონი: ***ტრავმ***-უესლი ლაუტოა

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-კევინ ტეოფილე, ფლორენტინ პოგბა

**გენგამი-ლილი**

გენგამი: ***ტრავმ***-იანის სალიბური

ლილი: ***ტრავმ***-ტიაგო მენდესი

**ნანტი-კაენი**

ნანტი: ***ტრავმ***-ენტონი ვალონგვა, სამუელ მუტუსამი, ვალენტინ რონიე

კაენი: ***ტრავმ***-ერვე ბაზილე

**ამიენი-მარსელი**

ამიენი: ***ტრავმ***-გუსუმა ფოფანა

მარსელი: ***ტრავმ***-ლუის გუსტავო, ლუკას ოკამპოსი, კლინტონ მუანჯიე, დიმიტრი პაიე

**ანჟე-მეცი**

ანჟე: ***ტრავმ***-ბილი კეტკეოპომპონე

მეცი: ***ტრავმ***-არავინ

**რენი-ნიცა**

რენი: ***ტრავმ***-მორგან ამალფიტანო

ნიცა: ***ტრავმ***-დანტე

**პსჟ-ლიონი**

პსჟ: ***ტრავმ***-მარკო ვერატი

ლიონი: ***ტრავმ***-ფერნანდო მარცალი, სერჟ დარდე

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 5 | 5 | 0 | 0 | 19-3 | 15 |
| 2.მონაკო | 5 | 4 | 0 | 1 | 14-8 | 12 |
| 3.ლიონი | 5 | 3 | 2 | 0 | 11-5 | 11 |
| 4.სტ.ეტიენი | 5 | 3 | 1 | 1 | 6-4 | 10 |
| 5.ბორდო | 5 | 2 | 3 | 0 | 9-6 | 9 |
| 6.კაენი | 5 | 3 | 0 | 2 | 5-3 | 9 |
| 7.ანჟე | 5 | 1 | 4 | 0 | 7-5 | 7 |
| 8.ნანტი | 5 | 2 | 1 | 2 | 2-4 | 7 |
| 9.ტულუზა | 5 | 2 | 1 | 2 | 8-11 | 7 |
| 10.მარსელი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-10 | 7 |
| 11.ნიცა | 5 | 2 | 0 | 3 | 7-6 | 6 |
| 12.გენგამი | 5 | 2 | 0 | 3 | 6-8 | 6 |
| 13.ამიენი | 5 | 2 | 0 | 3 | 4-7 | 6 |
| 14.რენი | 5 | 1 | 2 | 2 | 9-9 | 5 |
| 15.ტრუა | 5 | 1 | 2 | 2 | 4-5 | 5 |
| 16.ლილი | 5 | 1 | 2 | 2 | 4-6 | 5 |
| 17.მონპელიე | 5 | 1 | 1 | 3 | 3-5 | 4 |
| 18.სტრასბური | 5 | 1 | 1 | 3 | 4-8 | 4 |
| 19.დიჟონი | 5 | 1 | 1 | 3 | 6-12 | 4 |
| 20.მეცი | 5 | 0 | 0 | 5 | 2-12 | 0 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა



# TV პროგრამა

TV პროგრამა TV პროგრამა TV პროგრამა

## ორშაბათი 18 სექტემბერი

06.00 მუსიკა პირველზე 06.30 დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" 07.30 "ნამდვილი დრო" 08.00 ანიმაცია. "მხიარული ფერმა" 09.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.10 "მოამბე" 09.15 ტ/სერ. "გამარჯვებული ვიქტორია" 10.00 , 01.30 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ. "ჩენტო ვეტრინე" 12.30, 02.30 დღის მხ/ფ "დეზერტირები" 14.00, 05.10 "საუკუნის პორტრეტები" - კირიონ მეორე 15.00, 04.10 დოკ/ფ "სიცოცხლე დაბადებამდე" 16.15 დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" 17.00 ტ/სერ. "ოფისი" 18.30 "ტელებლოგი" 19.00 ტ/სერ. "ძველი ხიდის საიდუმლო" 20.40 "სპორტის დაფა" 21.00 "არჩევნები" 22.30 ტ/სერ. "ცბიერი მოახლეები" 23.30 "ეროვნული ლიგის მიმოხილვა" 23.50 მხ/ფ "თეთრი სასახლე" (ჯ.სპეიდერი) 2 arhi 10.07.2017 ორშაბათი

06.30 სერ. "ღირსების სახელით" 07.30, 08.15, 09.20 იმედის დილა 08.00, 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.25 ქრონიკა 10.10 სერ. "პატარძალი" 11.20 სერ. "ფიცი" 12.30 იმედის დღე 14.40 სერ. "ელიფი" 17.35 სერ. "ხაფანგი" 18.50, 19.03 სერ. "მოპარული ცხოვრება" 21.00 სპორტი 21.08 ამინდი 21.10 სერ. "ძმა" 22.30 იუმორინა 2017 00.30 მხ/ფ "მტრის ზურგში" 01.50 მხ/ფ "ლეგენდა ჰერკულესზე" 03.40 მხ/ფ "მარტივი ჭეშმარიტება" 05.10 მხ/ფ "ლუმის ფარგოს ძარცვა"

06.00, 18.50 სერ. "დესპოტი ქმარი" 07.00, 20.03 სერ. "დედამთილი" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "მფარველი ანგელოზი" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "ფერიჰას საიდუმლო" 15.30 სერ. "წარსულის ჩრდილი" 16.55 სერ. "უსასრულო მოლოდინი" 22.00 მხ/ფ "მოირა" 00.00, 01.00 მხ/ფ 01.30 კურიერის დაიჯესტი 02.00 მხ/ფ

08.00 ან/ფ "ვარსკვლავური ომები 2" 09.00 სერ. "ცისფერი სისხლი" 11.00 სერ. "სასოწარკვეთილი დიასახლისები" 13.00 სერ. "ძვლები 6" 17.00 სერ. "კრიმინალური აზროვნება: ეჭვმიტანილის ქცევა" 19.00 სერ. "ცისფერი სისხლი" 21.00 სერ. "სპირალი 2" 22.30 მხ/ფ "საწვრთნელი დღე" 00.50 მხ/ფ "ამერიკული ისტორია X" 03.10 მხ/ფ "უტეხი" 05.50 მხ/ფ "საქვაბე"

08.00 ანანდა 08.10 მულტფილმი 08.20 მულტ/სერ. "ლეკვი ჩემს ჯიბეში" 09.00 სერ. "ბანდოლერა" 10.40, 11.40, 12.40, 20.55, 22.55 ტელემარკეტი 11.00, 13.00, 17.00, 19.00, 01.00 ახალი ამბები 12.00, 2.30 ბიზნესკოდი 14.30 ექიმის საათი 15.00, 01.30 მოდი გავეყაროთ 16.00, 3.10 ფაბრიკა 18.30 სერ. "ყველაფერი ცხოველების შესახებ" 19.55 მე რომ ვიყო 20.00 თოქ შოუ "ცენზურის გარეშე " 21.00 სერ. "სიყვარულსა და შიშს შორის" 22.00 სერ. "ჯადოსნური ამბავი" 23.00 პანორამა 00.00 სერ. "შავი სია" 4.10 ცენზურის გარეშე

